საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბინა ხაჯიშვილი

ქართული ხალხოსნობა - სოფრომ მგალობლიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ქართული ლიტერატურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი - გურამ ბახტაძე

ხიჭაური

2019

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ხალხოსნობა — XIX საუკუნეში საშუალო წრის საზოგადოებაში გავრცელებული პოლიტიკური მოძრაობაა. XIX საუკუნეში რუსეთში თავი იჩინა ეგრეთწოდებულმა ნაროდნიკობამ, რომელიც მიზნად ისახავდა გლეხებში გასვლას და მათ შორის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული იდეების გავრცელებას. ამ მოძრაობამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია საქართველოში. ქალაქიდან მიდიოდნენ სოფლად ხალხში, შეჰქონდათ ახალი აზრები და მიზნები. ამ მოძრაობას უწოდებდნენ „ხოჟდენიე ვ ნაროდ” („ხალხში სიარულს“), და ასევე „ზემლია ი ვოლია“ ("მიწა და თავისუფლება“), რომლის მიზანიც იყო სამეფო ხელისუფლების დამხობა.

ხალხოსნობა წამოიწყო 1961 წელს ალექსანდრე მე-2-ს მიერ ბატონყმობის და ფეოდალიზმის გაუქმების შემდგომ. განთავისუფლებული მონები იყვნენ დამატებით დაზარალებული დაქვემდებარებული დაქირავებული მონობით, რომელიც ახალ კაპიტალისტურ ეკონომიურ წყობას ექვემდებარებოდა . ხალხოსნობა იყო პირდაპირ მიმართული ახალი არასამართლებლივი წყობის გაუქმებაში.

A n n o t a t i o n

The **Narodniks** (Georgian: ხალხოსნობა), was a political movement of the Russian middle class in the 19th century, involved in revolutionary uprisings against tsarism. This ideology was known as Narodnichestvo (народничество), from the Russian word “народ” (narod), “people, folk”, so it is sometimes translated as “peopleism” or, more commonly, “populism”. A common slogan among the Narodniks was “хождение в народ” (khojdenie v narod), meaning “going to the people”. Though their movement achieved little in its own time, the Narodniks were in many ways the intellectual and political pioneers of the socialists-revolutionaries who went on to greatly influence Russian history in the 20th century. The narodniks became a widespread movement in Georgia as well. People from the big cities traveled to the country side to spread ideas and news concerning the struggle against the occupant force, the Tsar.

Narodnism arose after the emancipation of the serfs in 1861 Tsar Alexsander 2, which signaled the end of feudalism in Russia. Arguing that freed serfs were being sold into wage slavery, in which the bourgeoisie had replaced landowners, Narodnism aimed to become a political force opposed to the phenomenon.

შინაარსი

ანოტაცია (ქართულად)----------2

ანოტაცია (ინგლისურად)----------2

შესავალი ---------- 4

ხალხოსნობა ---------- 6

გიგო ღრუბელაშვილი ---------- 29

სოფრომ მგალობლიშვილი ---------- 31

სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებანი ---------- 40

ყირიმის ომი (1852-1856წწ.) ----------47

ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში ---------- 52

მოგონებები ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებზე

ილია ჭავჭავაძე ---------- 53

იაკობ გოგებაშვილი ---------- 54

ვაჟა-ფშაველა ---------- 55

ანტონ ფურცელაძე ---------- 57

გრიგოლ ვოლსკი ---------- 59

ძირითადი დასკვნა ----------61

გამოყენებული ლიტერატურა ----------63

შესავალი

როგორც ცნობილია, ქართული ლიტერატურის შესწავლის თვალსაზრისით, ჩვენი მწერლობა იყოფა პერიოდებად. ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი საინტერესო პერიოდია მე-19 საუკუნის მწერლობა-ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია. აღნიშნული პერიოდის მწერლობა მიუხედავად იმისა, რომ დაახლოებით საუკუნის ლიტერატურულ პროდუქციას აერთიანებს, თვისობრივი თვალსაზრისით საკმაოდ მრავალფეროვან სურათს ქმნის. ამ საუკუნეში ჩვენს მწერლობაში ჩამოყალიბდა არაერთი ლიტერატურული მიმდინარეობა: რომანტიზმი, რეალიზმი,მოდერნიზმი.

თუმცა მოგეხსენებათ, რომ მანამდე ქართულ მწერლობაში არც ერთი ლიტერატურული მიმდინარეობა კლასიკური ფორმით არ ჩამოყალიბებულა და რომანტიზმი იყო პირველი ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელიც გაფორმდა თავისი ტიპოლოგიური ნიშნებით. (ევროპული მწერლობა კი ამ დროს კარგად იცნობდა ისეთ ლიტერატურულ მიმდინარეობებს, როგორებიც იყო კლასიციზმი და სენტიმენტალიზმი).

მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში ერთ-ერთ საყურადღებო ფურცელს წარმოადგენს ხალხოსნური მწერლობა. ხალხოსნურმა მწერლობამ საკმაოდ მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაუტოვა ეროვნულ მწერლობას. როგორც

მოცულობით, გნებავთ თემატური თვალსაზრისით. ქართული ლიტერატურის ისტორიაში ხალხოსნური მწერლობის ირგვლივ საკმაოდ ბევრი ითქვა და დაიწერა. შეიძლება ითქვას შეფასდა ხალხოსანი მწერლების როლი და მნიშვნელობა სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარების გზაზე. ხალხოსნობის დიდი წარმომადგენლები არიან:

ა)მხატვრულ ლიტერატურაში - სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური, ეკატერინე გაბაშვილი, ანტონ ფურცელაძე

ბ)კრიტიკაში და პუბლიცისტიკაში - ნიკო ხიზანიშვილი, სტ. ჭრელაშვილი, მიხეილ ასათიანი, ნ. ყიდიანი და სხვები.

ქართველი ხალხოსნები იზიარებდნენ იმ იდეებს, რომელსაც რუსი ნაროდნიკები - ხალხოსნები ქადაგებდნენ. ხალხოსნებმა მხატვრული ლიტერატურის ყურადღების ცენტრში დააყენეს გაჭირვებული გლეხკაცის ცხოვრება. გლეხკაცობა მიაჩნდათ ცხოვრების ბურჯად, მომავლის იმედად, სოციალიზმის განმახორციელებელ ძალად. ხალხოსნების იდეური მისწრაფება იყო „დამყარება ქვეყნად სიმართლის, ძმობის და სიყვარულის მეუფებისა“. ხალხოსნების შემოქმედების თემატიკა ძირითადად გაპირობებულია გლეხკაცის ყოფა-ცხოვრების აღწერით. ენა მდაბიურია და სადა, ტონი-ქადაგებისა და რჩევა-დარიგების ხასიათისა, რამაც შეასუსტა მათი თხზულებების მხატვრული მხარე.

ქართველი ხალხოსნების მთავარი ორგანო იყო ჟურნალი „იმედი“ და გაზეთი „შრომა“. საქართველოში ხალხოსნებს გლეხკაცობისადმი დიდი სიყვარულისა და პატივისცემის გამო ზედმეტ სახელად „ტეტიათა მოტრფიალეებს“ უწოდებდნენ.

„ტეტიათა მოტრფიალენი“ - ხალხოსანი მწერლები არიან, ხალხოსნური მიმდინარეობის ზედმეტი სახელი ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, პუბლიცისტიკაში. ტეტიას აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქართლში- გლეხს უწოდებდნენ. ვინაიდან ხალხოსანი მწერლების მოღვაწეობის ასპარეზი ქართლის სოფლები იყო უპირატესად და მეორეს მხრივ, მათი შემოქმედების შინაარსს ძირითადად ქმნიდა გლეხკაცობის დუხჭირი ცხოვრების აღწერა და ჩვენება, ამ ნიადაგზე ქართველ ხალხოსნებს კრიტიკოსმა

ხომლელმა (რომანოზ ფანცხავა) „ტეტიათა მოტრფიალენი“ უწოდა. (ანდრო ჭილაია. თბილისი, 1971წელი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა).

ხალხოსნობა

ხალხოსნობა არ არის ლიტერატურული მიმართულება. ხალხოსნობა არის ნაკადი ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნებისა, რომელმაც ცალკე თემატური ერთეულის უფლება მოიპოვა რეალისტურ-ლიტერატურაში. ხალხოსნობა წმინდა რუსულ ნიადაგზე აღმოცენებული მოვლენაა. სოციალური და კულტურულ-ლიტერატურული თვალსაზრისით, ეს სპეციფიკური რუსული ვითარების შვილია. გარდა რუსეთისა, არც ერთი ევროპული ქვეყნის ცხოვრებაში ამ მოვლენას ვერ ვხვდებით. ხალხოსნობის წარმოშობა ლიტერატურაში თავისთავად გულისხმობს დიდ განსხვავებას საზოგადოების სხვადასხვა ფენას შორის. არისტოკრატიისა და დაბალ ფენას, ინტელიგენციასა და მასას შორის ინტერესების თვალსაზრისით არის დიდი განსხვავება ფენებში, ერთის მხრივ, ევროპულად განათლებული ადამიანი დგას, მეორე მხრივ აუარება ადამიანი, რომელმაც წესიერად ქალამნის ჩაცმაც კი არ იცის, ვერ ახერხებს. ხალხოსან მოღვაწეთა მიზანია საზოგადოების ფენათა შორის ამ განსხვავების მოხსნა და არსებული უფსკრულის ამოვსება, რომელიც აშორებდა ადამიანებს ურთიერთისაგან; მათ მიერ ამოცანად იქნა დასახული იმ მანძილის შემცირება, რომელიც თიშავდა საზოგადოებას და მშრომელ ადამიანებს უმეცრება-სიბნელისაკენ მიაქანებდა.

რა იყო ამ სიბნელის მიზეზი? ამ კითხვის სიმწვავე და მასზე პასუხის გაცემის მძაფრი წყურვილი შეინიშნება ჯერ კიდევ ადრე. როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნის, 30-იან წლებში რუსეთში ჩაისახა ეროვნული „მე“-ს თვითგამორკვევისა და თვითდადგინების ძალუმი სწრაფვა. ამ მიმართულებით რუსეთის მოწინავე ინტელიგენციაში, უპირატესად ახალგაზრდობის წრეებში წარმოიშვა ძირითადი ორი დაჯგუფება: „მე-დასავლეთეებისა“

და „სლავოფილებისა“. „მედასავლეთნი“ (ჩაადაევი, ბელინსკი, ბოტკინი და სხვა). „სლავოფილები“ კი (ი. აქსაკოვი, ა. ხომიაკოვი, ი.კირეევსკი და სხვა). მას შემდეგ რაც გერმანელმა ჰაასტაუზენმა აღმოაჩინა, რუსული თემი სლავიანოფილებმა რუსული თავისთავადი ხასიათისა და სულის განვითარების საიმედო საყრდენი თემში დაინახეს. ამიტომაც იყო, რომ „ძალიან აფასებდნენ სლავიანოფილები რუსულ თემს“, მათ ერთი საერთო ამოსავალი ინტერესი და მიზანი ამოძრავებდა, ეს იყო „რუსული იდეის“ განხორციელება.

რუსეთის ცხოვრების დიდი გულშემატკივრისა და რუსული ლიტერატურის ფხიზელი კრიტიკოსის ბესარიონ ბელინსკის სტატიაში: „1846 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვა“, სწორედ რუსული სულის ძიებაა ასახული. მისი თქმით, რუსული ლიტერატურის ისტორია, როგორც თვით რუსეთის ისტორია, არც ერთი სხვა ლიტერატურის ისტორიას არა ჰგავს. ამიტომ იგი წარმოადგენს ერთადერთ განსაკუთრებულ სანახაობას, რომელიც მაშინვე უცნაური, გაუგებარი, თითქმის უაზრო ხდება. გარკვეული ისტორიული პირობების გამო, საუკუნეების განმავლობაში რუსეთს თავისი სოციალური ცხოვრების წესი გააჩნდა.

ევროპელი ხალხებისაგან განსხვავებით, ის ფაქტი, რომ ქრისტიანობით ბოლომდე ვერ გაიმსჭვალა რუსი ადამიანის სული, წარმართული ელემენტის მოჭარბების პირობა გახდა. ამ მომენტმა განსაზღვრა ის გარემოება, რომ პიროვნული ვერ გაბატონდა გვაროვნულზე, რამაც ღირსებისა და პიროვნების ავტონომიის შეზღუდვის ხარჯზე რაინდული, პიროვნული საწყისის განვითარებას გზა გადაუღობა.

როგორც ცნობილია, პიროვნულის შექმნისკენ სწრაფვა რაინდული სულის თვისებაა, რომლის გარეშეც ფერხდება პოლიტიკური სახის ჩამოყალიბება. ასეთი გზით სვლა უცხო იყო პეტრე დიდის წინანდელი რუსეთისათვის და როცა ეს გამორჩეული სულიერი ძალებით დაჯილდოებული კაცი მოევლინა ქვეყანას, ევროპისაკენ მიაბრუნა

იგი. რუსეთის განვითარებამ გეზიც იცვალა, მაგრამ შედეგი უცბად ვერ გამოჩნდა, რამაც საგონებელში ჩააგდო ევროპულად განათლებული რუსეთის ინტელიგენცია.

აღმოჩნდა, რომ ერთი მხრივ, რუსეთს ჰყავს ევროპულ კულტურაზე აღზრდილი არისტოკრატი, რომელიც უკვე ფიქრობს საკუთარი ქვეყნის ავ-კარგზე. და მეორე მხრივ, არსებობენ სიძნელეში მყოფი მილიონობით ადამიანები, გლეხობა, რომელთანაც კონტაქტის დამყარება უჭირს ინტელიგენციას, განსაკუთებით მძიმე შეიქმნა რუსი ხალხის ცხოვრება ნიკოლოზ 1-ის მეფობის ხანაში. თითქმის მთელი 41 წლის მანძილზე გაგრძელდა აუტანელი სიმკაცრის რეჟიმი. 1812-14 წლებში სამამულო ომის შემდეგ, როგორც ამბობენ, „რუსეთში ჰავაც კი შეიცვალა“. რუსეთის მოაზროვნე ინტელიგენციაში ფაქტიურად ისევ და ისევ ბ. ბელინსკი იყო ის დიდი პიროვნება, რომელმაც მძაფრად ამხილა რუსი ხალხის ნაკლი, მოიწადინა მასასთან, ხალხთან მჭიდრო კავშირის დამყარება და თავის გახმაურებულ წერილში საქვეყნოდ განაცხადა: „რუსეთს ესაჭიროება იმ ადამიანური გრძნობის გაღვიძება, რომელიც ამდენი ხანი დაკარგულია სიბინძურესა და ნაგავში. იგი საზარელ სანახაობას წარმოადგენს: ეს ისეთი ქვეყანაა, სადაც ადამიანებით ვაჭრობენ. ქვეყანა, სადაც ადამიანები თავიანთ თავს თვითონ უწოდებენ არა ნამდვილ, არამედ შერქმეულ სახელებს. ვანკებს, ვასკებს, სტიოშკებს, ქვეყანა, სადაც არ არის პოლიტიკური წესრიგიც კი. 1841 წლიდან ნელ-ნელა მწიფდება რუსეთში „ხალხში გამოსვლისა“ და ხალხის წყვდიადიდან გამოყვანის სურვილი.

ალექსანდრე მე-2-ის გამეფების პირველ წლებშივე, თვით ახალი იმპერატორის ხელშეწყობით, დაიწყო ბატონყმობის გასაუქმებლად მიმართული თავისუფალი აზრის ქროლვა. შეწყდა რუსული ცხოვრების შემბოჭავი მძიმე რეაქცია. ამ დროიდან პრაქტიკულად დაიწყო ხალხის ზნეობრივ- ფსიქოლოგიური და სულიერ-კულტურული დონის ამაღლებაზე ზრუნვა.

როგორც აღნიშნავენ: „60-იანი წლების ხალხოსნობა არ იყო „მოძღვრება“- დოქტრინა. ის იყო იდეური და უფრო მეტად მორალური განწყობილება. 60-იან წლებში

ყველა პროგრესულად მოაზროვნე გრძნობდა, რომ მის გარშემო ახალი რუსეთი იწყებდა ცხოვრებას. ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ გადაილახოს ის სოციალურ-ფსიქოლოგიური ბარიერი, რაც რუსი ხალხის ფენებს და თაობებს ერთმანეთისაგან თიშავდა.

მე-19 საუკუნის რუსეთის ახალი ცხოვრების დღის წესრიგში იდგა კულტურულ-ფსიქოლოგიური კავშირების დამყარება ხალხის მასასა და მოწინავე ინტელიგენციას შორის. ეს ისტორიულად გარდაუვალი იყო, ასე რომ, განსხვავებული ხალხოსნური განწყობილებების მატარებელი ინტელიგენციის ამოცანა ერთი იყო-ხალხთან დაახლოება, ხალხის ამოყვანა სიბნელიდან.

ხალხის აღზრდა ინტელიგენციამ კი არ უნდა იკისროს, არამედ თვითონ უნდა დავიდეს ხალხამდე. მაგალითად, ნ. ნ. ზლატოვრატსკი ხედავდა გლეხში რაღაც წმინდანს. „შოკოლადის გლეხი დაგსიზმრებიათ, მე კი ასეთი გლეხი არ მინახავსო-ასეთი პასუხი გასცა უსპენსკიმ თავის კრიტიკოსებს“. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მხატვრული სიტყვის სფეროებში რუსმა ბელეტრისტმა ხალხოსნებმა ბევრი რამ გააკეთეს, ბევრი მნიშვნელოვანი კითხვა აღძრეს საზოგადოების წინაშე. მთელი მოწინავე რუსეთის გონებრივი მზერა იქითკენ იქნა მიქცეული, როგორმე ხალხში გასულიყვნენ, საზოგადოებაზე ზემოქმედება მოეხდინათ, რომ გარდაექმნათ ყოფა, ცხოვრება. სწორედ ამ თვალსაზრისებიდან გამომდინარე, შეიძინა საერთო-სახალხო, ჭეშმარიტად რუსული ეროვნული მოვლენის მნიშვნელობა ხალხოსნობამ. თავისი საყოველთაო თვისების გამო ითვლება იგი რუსეთის პირმშოდ, ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ხალხოსნობა, როგორც აღნიშნავენ, 60-იანი წლებიდან დაწყებული, თითქმის მე-20 საუკუნის კარამდე მძლავრი ლამპარივით ენთო რუსულ ლიტერატურაში. (იუზა ევგენიძე, ლადო მინაშვილი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“. გვ.321-334).

ხალხოსნური მწერლობის ირგვლივ განსაკუთრებულ ინტერესს ავლენდნენ საბჭოთა პერიოდის კრიტიკოსები. რამდენადაც ისინი მიიჩნევდნენ, რომ ხალხოსნებმა

გარკვეული საფუძველი მოუმზადეს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას. გამომდინარე აქედან, ვფიქრობთ გადაჭარბებულადაც კი შეფასდა ხალხოსნური მწერლობის მნიშვნელობა. ლიტერატურის კლასობრივმა გაგებამ ამ შემთხვევაში გარკვეულ უზუსტობებამდე მიგვიყვანა და დღის წესრიგში დასვა მხატვრული ნაწარმოებების ხელახალი წაკითხვის აუცილებლობა.

სწორედ ამ გარემოებით არის განპირობებული ჩვენი ნაშრომის აქტუალობა. ჩვენი მიზანია სიღრმისეულად გავეცნოდ ხალხოსნური მწერლობის სპეციფიკას და თანამედროვე ლიტერატურული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ისტორიული, შედარებითი,ბიოგრაფიული, ტექსტის ანალიზის, ინტერდისციპლინარული და სხვა) შევისწავლოდ და გავაანალიზოთ ქართული ხალხოსნური მწერლობა. კერძოდ, მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის სოფრომ მგალობიშვილის შემოქმედების საფუძველზე გავაკეთოთ გარკვეული დასკვნები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ზოგადად ქართული ხალხოსნური მწერლობის ესთეტიკური ღირებულებების განზოგადება.

ჩვენი მიზანია, სოფრომ მგალობლიშვილის „მოგონებების“ საფუძველზე გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ. ავტორის, როგორც ტიპიური ხალხოსანი მწერლის მსოფლხედვაზე.

ვფიქრობთ, ჩვენი ნაშრომის სიახლე ის იქნება, რომ ყოველგვარი კლიშეებისა და იდეოლოგიისაგან თავისუფალი მსჯელობით შევაფასებთ ქართული მწერლობის ერთობ მდიდარ და საინტერესო ეტაპს, რომელსაც ხალხოსნური მწერლობის სახელწოდებით იცნობს საზოგადოება.

რუსეთში ხალხოსნობა აღმოცენდა მე-19 საუკუნის 70-იან წლებში. ხალხოსნები ასახავდნენ რეფორმის შემდგომი რუსეთის გლეხობის პროტესტს ბატონყმური ჩაგვრის გადმონაშთების წინააღმდეგ. ეკონომიკური ბაზა, რომელზედაც რუსული ხალხოსნობა აღმოცენდა, ხასიათდებოდა გარდამტეხი მოვლენებით, ე.ი. ისეთი მდგომარეობით, როცა

ქვეყანაში კაპიტალიზმი ჯერ კიდევ არ იყო მძლავრად განვითარებული, პროლეტარიატის დამოუკიდებელ საზოგადოებად ჩამოყალიბება არ იყო დასრულებული და საზოგადოებრივ ასპარეზზე ყველაზე მრავალრიცხოვან და ქვეყნის რევოლუციური გარდაქმნისუნარიან ძალად გლეხობა და წვრილი მწარმოებლები ჩანდნენ.

ხალხოსნობაში შერწყმული იყო დემოკრატიული ელემენტები, უტოპიური სიცოალიზმი, წვრილბურჟუაზიული რეფორმები. ხალხოსნობის წამყვანი ძალა იყო რუსული რაზნოჩინული ინტელიგენცია.

70-იან წლებში ხალხოსნურ მოძრაობას რევოლუციური ხასიათი ჰქონდა. 80-იანი წლებიდან ეს მოძრაობა ლიბერალიზმამდე დაეშვა და გლეხობის კულაკური ნაწილის ინტერესების დამცველად იქცა.

ხალხოსნური მწერლობის იდეოლოგები გამოდიოდნენ კაპიტალიზმის მკაცრი კრიტიკით. რუსული თემური მიწათმფლობელობა მიაჩნდათ ქვეყნის იმ სიკეთედ, რომელიც განაპირობებდა უმტკივნეულოდ შესვლას სოციალიზმში. უარყოფითად უყურებდნენ რა კაპიტალიზმს, ასევე უარყოფითად იყვნენ განწყობილი პროლეტარიატისადმი და გლეხობა მიაჩნდათ ერთადერთ რევოლუციურ ძალად.

ხალხოსნური მოძრაობის ლიდერთა ტაქტიკური შეხედულებანი განსხვავებული იყო. ერთი ჯგუფი საჭიროდ თვლიდა გლეხთა „ბუნტების“ დაუყოვნებლივ მოწყობას, მონარქიზმის დამხობას და სოციალური საზოგადოების დამყარებას ყოველგვარი სახელმწიფოს გარეშე. მეორე თვალსაზრისით, საჭირო იყო გლეხობის ხანგრძლივი შემზადება რევოლუციისათვის და რევოლუციის შედეგად გლეხურ თემზე დაყრდნობით სოციალური სამართლიანობის განხორციელება. უარყოფდნენ რა საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას, სჯეროდათ, რომ რუსეთში შეაჩერებდნენ კაპიტალიზმის განვითარებას. მათი წარმოდგენით, სახელმწიფო ზეკლასობრივი იყო.

1874 წლიდან დაიწყო ახალგაზრდა ინტელიგენციის „ხალხში გასვლა“. ხალხოსნებს იმედი ჰქონდათ, რომ გლეხობას რევოლუციისათვის შეამზადებდნენ, მაგრამ

არ გაუმართლდათ. ამ პერიოდის ერთ-ერთი ძლიერი ხალხოსნური ორგანიზაცია იყო „მოსკოველთა წრე“ (მოსკვიჩები), რომლის ორგანიზატორები იყვნენ ქართველი სტუდენტები : ი.ჯაბადარი, გ.ზდანევიჩ-მაიაშვილი, მ.ჩიკოიძე, ა.ციციშვილი და სხვები. ეს ორგანიზაცია ჟანდარმერიამ 1875 წელს აღმოაჩინა. „მოსკვიჩებს“ მთავრობამ ე.წ. „50-ის პროცესი“ მოუწყო და მკაცრად დასაჯა.

„ხალხში გასვლის“ იმედგაცრუებამ ხალხოსნები აიძულა ტაქტიკა შეეცვალათ. ახალი პერიოდის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო პეტერბურგში ცენტრალური საიდუმლო ორგანიზაციის ჩამოყალიბება „ზემლია ი ვოლიას“ სახელწოდებით. მისი პროგრამა ითვალისწინებდა ხალხოსან რევოლუციონერთა ხალხში ხანგრძლივ დასახლებას და გლეხობის თანდათანობით შემზადებას სახელმწიფო ბუნტებისათვის. ეს ტაქტიკაც უშედეგოდ დამთავრდა. 1878 წელს ხალხოსნურ მოძრაობაში თავი იჩინა შინაგანმა კრიზისმა, ამასთან, მთავრობამ აქტიური რევოლუციური ძალები გაანადგურა.

„ნაროდნაია ვოლიას“ ორგანიზაციამ, სადაც ფანატიკურად თავგანწირული რევოლუციონერები შედიოდნენ, ტერორისტული საქმიანობა გააძლიერა. მეორე რევოლუციური სიტუაციის პერიოდში 1881 წლის 1მარტს მათ მოკლეს იმპერატორი ალექსანდრე მე-2. ამ დროისათვის რევოლუციური ხალხოსნების ძალები ამოწურული იყო. მოთავეებიდან ზოგი დააპატიმრეს, ზოგი ემიგრაციაში გაიხიზნა. იმპერატორის მოკვლამ ხალხოსნური მოძრაობის კრიზისი კიდევ უფრო გააღრმავა.

ხალხოსნობა საქართველოში გაჩაღდა 70-იანი წლების დამდეგიდან. ამ მოძრაობის თაოსნები იყვნენ რუსეთის უმაღლესი სასწავლებლების ქართველი სტუდენტები, რომლებმაც საქართველოში დაბრუნებისთანავე გააჩაღეს რევოლუციური საქმიანობა თბილისში, ქუთაისში, თელავში, გორში, ოზურგეთსა და სხვა ქალაქებში. ხალხოსნური მოძრაობის აქტიური მოღვაწენი იყვნენ: ე.იოსელიანი, დ.თარხნიშვილი, ი.ბაქრაძე, ა.ფურცელაძე, ს.მგალობლიშვილი, ს.ჭრელაშვილი და სხვები. ისინი აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ საქართველოში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ რევოლუციური

ძალების შემოსაკრებად. ხალხოსნების სამოქმედო პროგრამა ითვალისწინებდა თვითმპყრობელური წყობილების დამხობას და სოციალურ პრინციპებზე დაფუძნებული ახალი საზოგადოების დამყარებას. ხალხოსნები საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ავრცელებდნენ აკრძალულ ლიტერატურას, პროკლამაციებს; გლეხობას, მუშებს, მოსწავლეებს მოუწოდებდნენ შეექმნათ საბრძოლო რაზმები და მომზადებულიყვნენ სახალხო აჯანყებისათვის.

ხალხოსნებმა თანამგრძნობთა ფართო წრე შემოიკრიბეს. საქართველოს ხალხოსნურ ორგანიზაციებში 200 კაცზე მეტი ყოფილა გაერთიანებული. ხალხში სიმპათიის მოპოვების მიუხედავად, ხალხოსნებს, ისე როგორც რუსეთში, მასები არ აჰყვა. ხალხში გასვლა აქაც უშედეგოდ დამთავრდა.

მთავრობის რეპრესიებს ხალხოსნური მოძრაობის სრული ჩაკვლა არ გამოუწვევია. დაპატიმრებას გადარჩენილი ხალხოსნები 70-იანი წლების მიწურულსა და 80-იანი წლების დამდეგს ისევ აგრძელებდნენ რევოლუციურ საქმიანობას.

ხალხოსნური იდეების პროპაგანდაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ ა.ფურცელაძე, ს.მგალობლიშვილი, ს.ჭრელაშვილი, და სხვები. 1883 წლის მარტში ჟანდარმერიამ მეორედ მოუწყო თავდასხმა ხალხოსნურ ორგანიზაციებს საქართველოში და მათი აქტიური წევრები დააპატიმრა.

მეორე დაპატიმრების შემდეგ ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში მინელდა, თუმცა ცალკეული წრეები აქა-იქ ისევ იწყებდნენ აღმოცენებას. ხალხოსნურმა პრესამ არსებობა შეწყვიტა. ყოფილ ხალხოსანთა უმრავლესობა გაზეთ „ივერიის“ გარშემო შემოიკრიბა და მონაწილეობდა ეროვნულ-განმანათლებლურ მოძრაობაში, რომელსაც სათავეში ედგა ი.ჭავჭავაძე.

70-იანი წლებიდან ხალხოსნები გაბედული, გულწრფელი რევოლუციონერები იყვნენ. მათ დიდად შეუწყვეს ხელი მასების რევოლუციური შეგნების ამაღლებას.

ქართველი ხალხოსნები ეროვნულ საკითხს არ აქცევდნენ სათანადო ყურადღებას, რაც მათი შეცდომა იყო. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია გვ.424-425.)

მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება, მეტად თავისებური მრუდე ხაზით მიიმართებოდა. მისი ეკონომიური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ღერძი მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე გაევროპელებისაკენ მძლავრად მიტრიალდება და ახალ ცხოვრებას დაეწაფება. ისტორიამ საქართველოს ევროპისაკენ გზა რუსეთზე დაუქნა. კაპიტალიზმის განვითარებით ამოძრავებული რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ნაკადს დარღვეული, ჯერ კიდევ ფეოდალური საქართველო სასოწარკვეთილებითა და სასოებით გაჰყვა. საქართველომ რუსეთთან ერთად იწყო ძველის გამოგლოვება, ახალის ძიება. საქართველოს ისტორიულ ცხოვრებას განვითარების აჩქარებული ტემპი განსაკუთრებით დაეტყო რუსეთის სამრეწველო კაპიტალიზმის გაშლის შემდეგ. ამ გარემოებამ ძველი ფეოდალური ყოფის განადგურების საკითხი საბედისწეროდ დააყენა. ახალი რუსეთის გზის გაკაფვას ის მძლავრ მემაღაროესავით შეუდგა. რუსეთის სამრეწველო კაპიტალიზმის ამოქმედება, ბუნებრივია, საქართველოსაც შეეხო და ის რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების საღვთო კალაპოტისაკენ ძალუმად გაიტაცა.

ახალ საფეხურზე აყვანილმა ახალი ეკონომიური ფაქტორის განვითარებამ ძველი ფეოდალური საქართველოს დასუსტებული ორგანიზმის დარღვევა ადვილად შეძლო. მწვავედ დაისვა საკითხი განვითარების ახალი გზის გამონახვისა, საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი შინაარსის ძიებისა. ამ ნიადაგზე ჩნდება გაბატონებულ კლასში მოწინააღმდეგე შინა ფენები, იწყება ძველსა და ახალ თაობათა შორის შეურიგებელი ბრძოლა, ე.წ. „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა. ამ ნიადაგზე გაიშალა თერგდალეულთა საგულისხმო მოღვაწეობა.

ამ საკითხის გამწვავებასა და გაღრმავებას ვხედავთ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, რომელიც საქართველოში შედარებით რუსეთთან ცოტა მოგვიანებით გატარდა.

ამ რეფორმამ გლეხკაცობას არამც თუ სასურველი მდგომარეობა არ შეუქმნა, არამედ მათი ცხოვრების პირობები პირველ ხანებში საგრძნობლად დაამძიმა კიდეც, „იმ განსხვავებით, რომ ახლა გლეხი პირადად თავისუალი იყო“. გლეხთა რეფორმამ გლეხებს ჩამოართვა მრავალ შემთხვევაში მიწები, რომლებიც აქამდე მათ ხმარებაში იყო და მით უფრო გაამწვავა მათსა და მემამულეთა შორის ურთიერთობა. რეფორმის შემდეგ მთელი თავისი ცხოვრების სიმძიმით გლეხი დარჩა კაბალურ დამოკიდებულებაში მემამულისაგან.

ცნობილია, რომ „დიდმა რეფორმებმა“ იმედი გაუცრუეს არა მარტო გლეხკაცებს, არამედ აგრეთვე საზოგადოებისა და ინტელიგენციის მოწინავე ნაწილს. ბატონყმობის გადავარდნის გარდა, ჩვენი ქვეყნის კაპიტალიზაციის სწრაფ განვითარებას ხელი შეუწყო კიდევ შემდეგმა გარემოებამ: რკინიგზის გაყვანამ, ნავთის ამუშავებამ, ტყიბულის-ჭიათურის წარმოების დაწყებამ. ფაბრიკა-ქარხნებს წამოწყებამ როგორც ტფილისის, ისე ქუთაისის გუბერნიებში. ყველა ეს მოვლენა, რასაკვირველია, გამოწვეულია განვითარებით რუსეთის სამრეწველო კაპიტალიზმისა, რომელიც თანდათან შინაურ ბაზარს იპყრობს და დამორჩილებულ პროვინციაზე დიდ ეკონომიურ გავლენას ახდენს. ყველა ამან გამოიწვია კაპიტალიზაციის სწრაფი განვითარება. ამ ნიადაგზე ჩნდება აღებ-მიცემობის თვალსაჩინო ზრდა. ამ გარემოებამ კი გამოიწვია ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალური რღვევის გართულება. საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ჩნდება ახალი ფორმაციები, ხდება ახალი სოციალური გადანაცვლება. თვით გლეხობაში შეიმჩნევა მეტად თვალსაჩინო და თავისი შედეგებით მეტად საგულისხმიერო შინაგანი დაჯგუფებანი: დარღვეული გლეხკაცის მეურნეობა და ბიუროკრატიულ-პოლიტიკური სახელმწიფოებრივი აპარატი ხელს უწყობდა გლეხობის დიფერენციაციას. 70-იანი წლების დასაწყისშივე გლეხებს შორის ირკვევა: შეძლებული გლეხი, საშუალო შეძლების მეურნე გლეხი და უმიწაწყლო გლეხი, ღატაკი-სოფლის პროლეტარი. მდაბიო ფენებში ამგვარი დიფერენციაციის მხატვრული ასახვა მოხდა ანტონ ფურცელაძის შემოქმედებაში.

რა გზით უნდა წავიდეს ჩვენი ცხოვრება მომავლისაკენ? როგორი გზით უნდა დაიწყოს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა, რომ ხალხის მასები გაძლიერდნენ? ეს საკითხები მთელი სიმძიმითა და სიმწვავით წამოიჭრა 60-80-იანი წლების საზოგადოების მოწინავე მოაზროვნე ნაწილის წინაშე და დაუყოვნებლივ მოითხოვდა გადაჭრას და ხშირად რადიკალურ გადაჭრასაც. ეს ყველაფერი ასევე გადავიდა მწერლობის წინაშეც.

70-იანი წლებისათვის ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიაში შემდეგ მთავარ დაჯგუფებებთან გვაქვს საქმე. ერთი ნაწილი ქართველი ინტელიგენციისა, ე.წ. თერგდალეულნი-ილია ჭავჭავაძე, ს.მესხი, ნ.ნიკოლაძე, გ.წერეთელი, აკ.წერეთელი, გრ.თარხან-მოურავი, პ.უმიკაშვილი და სხვანი თავს იყრიან „დროება“-„კრებულის“ გარშემო. მართალია, ზემო აღნიშნული საკითხების გაგება-გადაწყვეტაში მათ შორისაც არის სხვაობა, - ზოგი მარჯვნივ იწევს, ზოგი მარცხნივ, მაგრამ ესენი, როგორც ნიკო ნიკოლაძე გვიმოწმებს, მაინც თითქოს ერთ საერთო პოზიციაზე იდგნენ. ზოგიერთ საქმეში, ზოგიერთ კითხვებზეც ჩვენ სხვადასხვა აზრისანი ვართ. მაგრამ ჩვენ საზოგადო მიზანი ყველას ერთი და იგივე გვაქვს და უნდა გვქონდეს. ამ საზოგადო მიზანს ჩვენ ყველანი, ჩვენი ძალისა და ცოდნის მიხედვით, ერთგულად ვემსახურებით.

უნდა ითქვას, რომ „დროება“ -„კრებულის“ თანამშრომლებმა, მართლაც, ეროვნულ საკითხს მიაქციეს განსაკუთრებული ყურადღება და ეროვნულ-კულტურული მუშაობისაკენ მიჰმართეს თავიანთი ძალები.

„იცხოვრეთ ძმურად, თანხმობით, ნუ იქონიებთ ერთმანეთს შორის შურსა და უკმაყოფილებასა და მტერი, ხუთჯერ თქვენზე ძლიერიც რომ იყოს, ვერ მოგერევათ თქვენ“- აი სასიქადულო და სანუკველი ოცნება თერგდალეულთათვის. აი ჩვეულებრივი ლოზუნგი, რომელსაც ისინი ყოველ ფეხის გადადგმაზე გაჰკივიან. და ს.მესხიც ამ აზრს ასე განმარტავს-„რა კარგი იქნება, რომ ეს ბრძნული სიტყვები მუდამ გვახსოვდეს ჩვენ და

დარიგებისა თანახმად ვიქცეოდეთ! რა კარგი იქნება, რომ ჩვენ ერთმანეთში უფრო მეტი თანხმობა და ძმური სიყვარული გვქონდეს“.

1866 წლიდან თერგდალეულებს აღარ ახასიათებთ ის ბრძოლის ჟინი, რომელსაც ისინი 1861-1865 წლებში ამჟღავნებდნენ. მათში თანდათანობით ხდება გაყოფა. ნაწილი ეროვნულ საკითხებს ანიჭებს უპირატესობას, ნაწილი კი სოციალურს. განსაკუთრებით ეს აშკარავდება 80-იანი წლებისათვის, როდესაც „დროება“ და „ივერია“ ერთმანეთს ხელს უწვდიან და ბოლოს, შეერთდებიან კიდეც.

70-იანი წლების უღელტეხილზე მწერალთა ჯგუფმა დააარსა ორგანო „მნათობი“. „მნათობი“, თითქოს „დროება“-„კრებულთან“ დაპირისპირების სახით, თავის დევიზად აცხადებს ხალხთან დაახლოებას, ხალხისა და მის გათვითცნობიერების სამსახურს.

მართლაც, „მნათობის“ გარშემო შემოკრებილი იყო იმ დროისათვის ნაწილი ქართული საზოგადოებისა. სახელდობრ: ნ.ინაშვილი, მ.ქიქოძე, ან. ფურცელაძე, დიმ. ჯანაშვილი და სხვანი. ჟურნალი „მნათობის“ წერილებიდან აშკარად ჩანს, რომ მას არა მარტო მძლავრი სურვილი აქვს ხალხთან ახლო მივიდეს, არამედ გარკვეულიცა აქვს საშუალებანი, როგორ უნდა ემსახუროს მის ცხოვრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეს, რა საშუალებით შეიძლება ასწიოს ხალხის კულტურული დონე.

გიორგი მაიაშვილი, ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი 70-80-იანი წლების მოწინავე ახალთაობისა, თავაზიანობით, მაგრამ გამიჯვნის გარკვეული მიზნით, ასე მიჰმართავს „დროება“ - „ივერიის“ თანამშრომლებს: „თქვენი მოქმედება, ბატონებო, ძლიერ პატივსაცემია, თქვენი ღვაწლი ყველასათვის ცხადია, ჩვენც თანავუგრძნობთ მას. მაგრამ ამასთანავე ჩვენის მხრით არასწორი იქნებოდა თქვენის წმინდა განზრახვათა წინაშე დაგვემალა თქვენთვის, რომ ის კითხვები და საგნები, რომელთაც თქვენ ეხლა სულითა და გულით მისცემიხართ, ჩვენ უსაჭიროეს და არსებით საგნებად არ მიგვაჩნია: ღაღადება სკოლებში ქართული ენის შემოღებაზედ, სახალხო სკოლების დაფუძნებაზედ, ქართული თეატრის გამართვაზედ, სასარგებლო წიგნების გამოცემაზედ, ჩვენის ენის

განვითარებასა და გამშვენიერებაზედ და სხვადასხვა. და ყოველივე ესენი ძლიერ საჭირონი და თანაგრძნობის ღირსნი საგნები არიან. მაგრამ ამ საგანზედ გაჩერება, მათ გარშემო ტრიალი და მასთანავე კმაყოფილებით ძახილი, რომ მხოლოდ ამაებზედ არის დამყარებული ჩვენი ქვეყნის ბედნიერებაო, იმასა ნიშნავს, რომ თქვენ მოქმედების პროგრამა ჯერ კიდევ არა გქონიათ შემუშავებული და მტკიცე ნიადაგზე დამყარებული. ეს მიუტევებელი ცოდვა გახლავთ თქვენთვის. არც ერთ წრეს ხალხის ბელადთა, რომელსაც კი სურს შეიქმნეს ჭეშმარიტი გამომეტყველი და წარმომადგენელი თავის ქვეყნის ინტერესებისა, არ ექნება მომავალი, თუ რომ იგი განზრახ ან გაუგებრობით უქცევს გზას ეკონომიური საგნების ახსნას და გადაწყვეტას, რომლების გამოსარკვევადაც იბრძვის ეხლა ყველა თანამედროვე პარტიები, მთელი კაცობრიობა“. (მიხ. ზანდუკელი,სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა,თბილისი. ახალი ქართული ლიტერატურა- ტომი 3. გვ.19)

ჩვენი აზრით ამგვარი ირონიული დამოკიდებულება იმ ფრთისადმი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა, სრული უმეცრება იყო. ამას ისინი ანუ ხალხოსნები ვერ გრძნობდნენ. ილია ჭავჭავაძე კი თავგამოდებით იცავდა ეროვნული პრობლემატიკის საკითხებს.

გ. მ ა ი ა შ ვ ი ლ ი კარგად იცნობს „ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა“ მოქმედებასა და მიმართულებას. ისიც, რომ იმათ მოქმედებაშიცაა ჩაქსოვილი კაცობრიობის ახლანდელი ბრძოლის, საქმიანობის საჭირბოროტო საკითხები. მაგრამ მან ისიც კარგად იცის, რომ ამ საკითხთა გადაწყვეტას მათ თავი ვერ გაართვეს. გ.მაიაშვილი ცდილობს თერგდალეულთ უჩვენოს მოღვაწეობის ჭეშმარიტი დასაყრდენი ბაზა, რომელსაც თერგდალეულებმა ვერ მიაგნეს.

აი სწორედ ეს, „ხალხოსნური“ მიმართულებაა საფუძველი იმ ახალგაზრდა ჯგუფისა, რომელმაც თავი შემოიკრიბა ჟურნალ „იმედის“ გარშემო და მოინდომა მათგან გამიჯვნა. მათი დიდი ნაკლულევანება, -წერს „იმედის“ ერთი ლიდერთაგანი სტ.

ჭრელაშვილი, „იმედის“ საპროგრამო წერილში,- მათი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ თავიანთ ნიჭიერებასთან და სწავლასთან სრულებით ავიწყდებოდათ დროება, გარემოება და ადგილი...მთელი ხალხი სწყდებოდა შიმშილითა და უმოსავლობითა, ამ დროს ჩვენი მწერლები გაცხარებული ბაასობდნენ ტიერზე და გიზოზედ; ხალხს ავიწროებდა და სტანჯავდა ათასნაირი გაცხარებული უსამართლობა მოსამართლეებისაგან, - მწერლები აღტაცებულნი მოგვითხრობდნენ ლუი ბლანზე, როშ ფორებზე და გამბეტაებზე; ხალხი იწვებოდა და იდაგებოდა უთვალავი ხარჯისა და ბეგარებისაგან, მწერლები კი ბოკლისა და დარვინის თეორიების მეტს ვერას პოულობდნენ სალაპარაკოდ; ხალხს უჭირდა დაწყებითი სწავლის მიღება, ჩვენ მწერლებს კი სრულებით დავიწყებოდათ ესა და ელაპარაკებოდნენ ქართველს მკითხველებს მეცნიერებისა და ცხოვრების უკანასკნელ სიტყვაზე. სწორედ ამ ჯგუფისაგან გაიმიჯნა და მასთან წინააღმდეგობა გამოაცხადა „იმედის“ ჯგუფმა. დაიწყო ბრძოლა „იმედსა“ და „ივერია“ - „დროებას“ შორის.

ასე დაიწყო გათიშვა-დაშორება ქართველი ინტელიგენციისა.

„დროების“ ფურცლებზე თერგდალეულთა აზრს ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი ასე გამოხატავს: „ამ დღეებში ჟურნალი „იმედი“ გამოხოხორიკდა, და მართლა, რომ ხოხორიკივით არც თავი ეტყობა და არც ბოლო! რაღაც ნამორია გამოუკოპიტებელი, და მისი ხუროები კი იძახიან ეს არის ჩვენი ქვეყნის ბედისწერაო! დღემდის არც მწერლობა ყოფილა, არც მწიგნობრობა და არც ახალგაზრდობაო! ჩვენა ვართ და ჩვენი ნაბადი გამთენებელი ღამისო, რადგანაც მისთანა ხელობას ვადგევართ, რომელსაც არც ნიჭი ეჭირვება და არც სწავლა-ხელოვნებაო!...

იმე! იმე! იმე! რა ხელობაა ამისთანა, რომელსაც არაფერი არ ეჭირვება? უთუოდ ლობიოს ჭამაა!... და მართლაც, ამ მუშებს ეტყობათ, რომ ლობიოს ოსტატები უნდა იყვნენ: გაბერილან ლობიოთი, ჩაუვლიათ ერთმანეთისათვის ხელი, ერთმანეთს ყურს უგდებენ და აღტაცებაში მოდიან...რაებს არ ამბობენ?!

„არ გახლავართ მდიდრის შვილი,

არც თავადი, აზნაური“-ო!

ამას ისეთის დატრაბახობით იძახიან, თითქო რამე ღირსება იყოს. თურმე მათის აზრით, ვისაც ან თავადი ჰყოლია წინაპარი და ან აზნაური, მომაკვდინებელი ცოდვა ჰქონია დღეს და მხოლოდ მღვდლის შვილობა საკვირველი რამ ყოფილა, და არ გვცოდნია!...“ (მიხ. ზანდუკელი,სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. ახალი ქართული ლიტერატურა, ტომი-3, გვ.21.)

ჩვენი ხალხოსნები სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე აღნიშნავდნენ, რომ ისინი სამოქმედო სარბიელზე ახალი მიმართულების, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ახალი გზის გამონახვისათვის გამოდიან. ჟურნალი „იმედის“ გარშემო შემოკრებილი ხალხოსანთა ჯგუფი თავის ორგანოს ფურცლებზე არაერთხელ აღნიშნავს, რომ ის ახალი ცხოვრების მქადაგებელია, ცხოვრების ახალი ფორმების მაძიებელია.

ქართველი ხალხოსნები, ეჭვ გარეშეა, რუსი ხალხოსნების იდეოლოგიის დიდი და უშუალო გავლენის ქვეშ აღიზარდნენ და განვითარდნენ კიდეც. როგორც სხვადასხვა ცნობიდან ვრწმუნდებით, მათ 70-იანი წლის ნახევრიდან რუსეთის ხალხოსნურ ორგანიზაციებთან გარკვეული კავშირი ჰქონდათ. ქართველი რევოლუციონერები ფიქრობდნენ, რომ, ემსახურებიან რა რუსეთის რევოლუციის საქმეს ცენტრში, ამით ისინი ემსახურებიან ქართველი ხალხის ინტერესებსაც.

რუსი ხალხის მოძრაობითა და მოქმედებით გატაცებულნი, ჩვენი ხალხოსნებიც ცდილობენ ხალხში გასვლას. 70-იანი წლების დასაწყისში ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში ადგილი აქვს ხალხში სიარულის დასაწყისს. დაარსდა პატარა რევოლუციონური წრე. - ვ ა ს ო ს ა მ ა დ ო ვ ი ს აქტიური მონაწილეობით. წრეს მიემხრნენ ადგილობრივი წვრილი მემამულენიც-მიხეილ და ლუარსაბ ერისთავები, დები-კესო და ნატო გაბუნიები და ბაბო კორინთელი (ბოლოს ქართული სცენის არტისტები).

1876 წელს შემოდგომის გასულს საქართველოში მოხდა მრავალი გაჩხრეკა. ამ გაჩხრეკას მოჰყვა მრავალი რევოლუციონერის დატუსაღება: ტფილისში დაატუსაღეს- ე

გ ნ ა ტ ე ი ო ს ე ლ ი ა ნ ი და სტამბის მეპატრონე ა რ ს ე ნ კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, გორში-ვ ა ს ო დ ე კ ა ნ ო ზ ო ვ ი. სოფ.მერეთში-დ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე და სხვანი.

ამ პირველმა რევოლუციურმა ორგანიზაციამ გორში გაშალა მოღვაწეობის ფრთა. იქ ის უფრო კულტურულ მოღვაწეობას მისდევს: წარმოდგენების გამართვას ხალხისათვის, კითხვებისა და საუბრების მოწყობას. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორგანიზაცია ხალხში რევოლუციონური ჟინის გაძლიერებასაც ცდილობს.

1878 წლის გაზაფხულზე მთავრობა კიდევ დაესხა თავს ამ ჯგუფს. ორენბურგის გუბერნიაში გადაასახლა ე გ ნ ა ტ ე ი ო ს ე ლ ი ა ნ ი და მ ი შ ა ყ ი ფ ი ა ნ ი. „ზოგიერთი ამხანაგი, - გადმოგვცემს შ. დავითაშვილი, - და, სხვათაშორის, სოფრომ მგალობლიშვილი და ვანო ხიმშიევი დატუსაღებულ იქნენ განუსაზღვრელი ვადით“. ვასო დეკანოზიშვილი და რომან ფავლენიშვილი ციხეში დასნეულდნენ ჭლექით და მალე დაიღუპნენ.

ამის შემდეგ რევოლუციონერთა რიგები თანდათან დიდდება, რევოლუციონური მოძრაობა თანდათან ღრმავდება და ჩვენი ხალხოსნების მოღვაწეობაც თავის კეთილ კვალს სტოვებდა დიადი საქმის, ხალხის განთავისუფლებისა და ბედნიერების მოპოვების მიღწევაში, ხალხის მასების გაღვიძებაში, თვით ხალხის მასების ამ დიადი საქმის გამარჯვების პროცესში ჩაბმით. ამაშიც ჩვენი ხალხოსნები რუსებისაგან იღებენ მაგალითს.

60-70-იან წლებში რუსი ინტელიგენცია (ხალხოსნები) მასიურად დაიძრა ხალხისაკენ, დაიწყო გლეხკაცის ქოხში შესვლა, მისი ახლო გაცნობა, ინტელიგენციის ცხოვრების გასადავება, გლეხკაცის ცხოვრების მიბაძვა. „ნაროდნიკები თავდაპირველად შეეცადნენ აემხედრებინათ გლეხები მეფის მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ მიზნით რევოლუციური ინტელიგენტური ახალგაზრდობა, გლეხის ტანსაცმელში გადაცმული, დაიძრა სოფლისაკენ-„ხალხში“, როგორც მაშინ ამბობდნენ. აქედან წარმოსდგა თვით სახელწოდება „ნაროდნიკები“(ხალხოსნები). რუსი ინტელიგენციის

მამოძრავებელი დევიზი ასეთი შეიქმნა: ყველაფერი გასწიროს, თავის თავიც კი ხალხის საკეთილდღეოდ, ხალხის თემობრივი წყობილება შეინახოს და გარდაქმნას ის კომუნად.

ხალხოსანთა მოღვაწეობა რევოლუციური მოძრაობის ისტორიის განვითარების თვალსაზრისით ერთ-ერთი საყურადღებო ეტაპია, რომელიც მატად ცალმხრივად და არაობიექტურად, კომუნისტური იდეოლოგიის ტენდენციებით გაშუქდა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ვცდილობთ ხალხოსნური მწერლობის გააზრება თანამედროვე შეხედულებების საფუძველზე მოვახდინოთ.

სანამდე თვით ხალხოსნურ მიმართულებაზე ქართულ ლიტერატურაში და მათ წარმომადგენლებზე საუბარს შევუდგებოდე, მკითხველის ყურადღება მინდა მივაქციო ერთ საგულისხმო მოვლენას. ზემოთ აღვნიშნე, რომ ჩვენი ხალხოსნობა რუსეთის დიდი გავლენის ქვეშ განვითარდა. გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ ჩვენი ხალხოსანი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ხშირად შეუცნობლადაც კი მიდიოდნენ იმ გზით, რომელსაც რუსული ჟურნალ-გაზეთების საშუალებით გაეცნობოდნენ ხოლმე. მაგრამ, მიუხედავად ასეთი მჭიდრო ურთიერთობისა და გავლენისა, ჩვენი ხალხოსნები თავისებურებას მაინც გამახვილებულად ამჟღავნებენ. მათ შორის არის მსგავსება და განსხვავება.

ხალხოსნები, უდავოდ, წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამომხატველნი იყვნენ; ისინი ცდილობდნენ სხვადასხვა პროგრესული საშუალებით გაეუმჯობესებინათ ხალხის მეურნეობა და სრულებით ვერ ამჩნევდნენ, რომ არსებულ საწარმოო ძალთა ურთიერთობაში ყველა ეს საშუალება უფრო ღრმად მოახდენდა პროლეტარიზაციის პროცესს. ხალხოსნები, ვერ ამჩნევდნენ კაპიტალიზმის პროგრესულ მნიშვნელობას, ვერ ხედავდნენ, რომ კაპიტალიზმის განვითარებამ დაარღვია ადამიანის ცხოვრების ძველი ვიწრო პირობები, მისი გონებრივი დაჩლუნგება; მწარმოებელს მისცა საშუალება თავისი ბედი საკუთარ ხელში დაეჭირა; ისინი ვერ ამჩნევდნენ, რომ კაპიტალიზმის განვითარებამ

დაარღვია ძველი და წარმოშვა მრავალმხრივი განვითარების შესაძლებლობა, რომელმაც ასე წასწია წინ დასავლეთ-ევროპა.

რუსი ხალხოსნების უმეტესი ნაწილი რუსეთს და მისი განვითარების გზას უპირისპირებს დასავლეთ-ევროპას, აღნიშნავს რუსეთის სხვაობას, მის უპირატესობას დასავლეთ-ევროპასთან შედარებით; ამტკიცებს, „რომ კაპიტალიზმი რუსეთში წარმოადგენს „შემთხვევითს“ მოვლენას, რომ იგი ვერ განვითარდება რუსეთში“, და რომ რუსეთმა დასავლეთ-ევროპისაგან არაფერი არ უნდა გადმოიღოს, რადგანაც, რუსი ხალხოსნების შეხედულებით, დასავლეთ-ევროპა უკვე ძალა გამოლეულია, იხრწნება. რუსი ხალხოსნების რწმენით, რუსეთი უნდა წავიდეს არა დასავლეთ-ევროპის (ბურჟუაზიული) განვითარების გზით, არამედ თავისი ისტორიული გზით, რომ მან შესძლოს ნამდვილი წინმსვლელობის გზა გამონახოს.

ჩვენი ხალხოსნები, რა თქმა უნდა, იტოვებენ რუსი ხალხოსნების ამგვარ ორმაგ ბუნებას, მაგრამ მათსავით მტრულად არ უყურებენ დასავლეთ-ევროპას. პირიქით, ქართველი ხალხოსნები ცდილობენ მისი ცხოვრების გაკვეთილებით ისარგებლონ.

„იმედის“ ერთ-ერთი საუკეთესო თანამშრომელთაგანი და ჩვენი ხალხოსნობის ერთ-ერთი ნიჭიერი გამომხატველი სტ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ჟურნალი „იმედის“ შემდეგ ნომერში, არჩევს ლ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი ს რომანს „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილს“ და შემდეგ საგულისხმო შეხედულებას გამოთქვამს: „ერთი სიტყვით, - წერს ის, - მეჯღანუაშვილი და კიდევ მეჯღანუაშვილი. ეს არის თავი და ბოლო ჩვენი ცხოვრების ბორბლისა. ეს ამშვენებს და აძლევს სპეტაკ ფერს დღევანდელ ჩვენ უფერულობას. ყველანი გულწრფელად ვიტყვით, რომ უამისოდ ჩვენ ჩალათაც არ ვეღირებოდით. ამიტომაც მეჯღანუაშვილს შეუძლია ამაყად და გულდაგულ შეჰყუროს ქვეყანას, რომლის უმთავრეს მოვალეობას შეადგენს დაუთმოს ყველგან უპირველესი ადგილი... მოკლედ რომ ვთქვათ, მეჯღანუაშვილი გახლავთ ყველაფერში მოწინავე პირი ჩვენი ცხოვრებისა, ნამდვილი იდეალი მთელი ხალხისა. სტ. ჭრელაშვილიც აშკარად ხედავს და რწმუნდება,

რმ ეს მოვლენა ჩვენი ცხოვრების ბუნებრივი და აუცილებელი გზაა, ეს მოვლენა „ჩვენი ცხოვრების ნამდვილი ყვავილია“.

სტ.ჭრელაშვილი იმავე წერილში ცოტა ქვევით უფრო გარკვევით აღნიშნავს მეჯღანუაშვილთა წარმოშობის აუცილებლობას: „მეჯღანუაშვილი კი არა, თვით უცუდესი ქვეყნის გამომწუწნავი რომ ერთ დღეზე ამოაგდოთ დედამიწის ზურგიდან, მაინც ხვალე თქვენი გაშტერებული თვალები დაინახავენ, რომ იმათი ადგილები სხვებს დაუჭერიათ, მათ სკამზე სხვები გამოჭიმულან, იმიტომ, რომ... ყველა ჩვენთაგანში ცხოვრების უარაქათობამ ღრმად ჩანერგა ფულის მოყვარეობა.. .ყველას ფული მიგვაჩნია უღონიერეს იარაღად ნეტარების და სიამის მოსაპოვებლად“.

ეკონომიურ ცხოვრებაში მიწის მუშაობა თანდათან ნელ-ნელა ჰკარგავს უწინდელ თავის დიდს მნიშვნელობას და საპატიო ნაწილს მფლობელობისას უნებლიედ უთმობს სხვა ეკონომიურ ფაქტორებს. მაგალითად, ქარხნულ მრეწველობას, ვაჭრობას და სხვა. ამას ცხადად ამტკიცებს ეკონომიური ისტორია. ცხადია, ჩვენი ხალხოსნები ქვეყნის კაპიტალისტურ განვითარებას იღებენ, მაგრამ ისიც უდაოა, რომ ისინი სათანადოდ ვერ აფასებენ კაპიტალიზმის განვითარების დადებით მხარეებს და ვერ ითვალისწინებენ მის ისტორიულ როლს. ამიტომაა, რომ ისინი ხშირად კაპიტალების უარყოფით მხარეებს ასახავენ შემოქმედებაში.

რუს ხალხოსნებთან შედარებით, ჩვენი ხალხოსნების მსოფლმხედველობა განსხვავდება ეროვნული საკითხის გადაჭრითაც. მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა მეტად უმწეო იყო. მთელი ხალხი დამონებული იყო როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურადაც, და სრული განადგურების გზაზე იდგა. „მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო. მეფის რუსეთის მრავალრიცხოვანი არარუსი ხალხები სრულიად უუფლებონი იყვნენ, განუწყვეტლივ განიცდიდნენ ყოველგვარ დამცირებასა და შეურაცყოფასა. მეფის მთავრობა აჩვევდა რუს მოსახლეობას ისე ეცქირა ნაციონალური ოლქების მკვიდრი ხალხებისათვის, როგორც დაბალი რასისათვის,

ოფიციალურად უწოდებდა მათ „ინოროდცებს“, ნერგავდა ზიზღს და სიძულვილს მათდამი. მეფის მთავრობა შეგნებულად აღვივებდა ნაციონალურ შუღლს, ამხედრებდა ერთ ხალხს მეორის წინააღმდეგ. აწყობდა ებრაელთა დარბევებს, თათარ-სომეხთა ხოცვა-ჟლეტას ამიერ-კავკასიაში.

„ნაციონალურ ოლქებში ყველა ან თითქმის ყველა სახელმწიფო თანამდებობანი რუს ჩინოვნიკებს ეჭირათ. მთელი საქმეები დაწესებულებებში, სასამართლოებში რუსულ ენაზე სწარმოებდა, აკრძალული იყო ნაციონალურ ენებზე გაზეთებისა და წიგნების გამოცემა. სკოლებში აკრძალული იყო დედაენაზე სწავლა. მეფის მთავრობა მიისწრაფოდა ჩაეხრჩო ნაციონალური კულტურის ყოველგვარი გამოვლინება, ატარებდა არარუს ეროვნებათა ძალდატანებით „გარუსების“ პოლიტიკას. ცარიზმი არარუს ხალხთა ჯალათად და მტანჯველად გამოდიოდა“.

(სალ. კომ.პარტ.(ბოლშევიკების)ისტორია“-გვ6-7).

ამ გარემოებას არ შეიძლებოდა ჩვენს ხალხოსნებზე თავისი მწვავე დაღი არ დაესვა; არ შეიძლებოდა მას ნაციონალური საკითხი არ ჩაემატებინა და მტკიცედ არ ჩაეწერა მათ მსოფლმხედველობაში. „დღეს ვინც უყურებს ჩვენს ცხოვრებას,- წერს სტ. ჭრელაშვილი,- ქართველი კაცი თუ უცხო ქვეყნელი, ყველას უკვირთ, რომ მთელი ჩვენი სამშობლოს შინაგანი, თუ გარეგანი არსებობის აქტი ხდება სხვა ქვეყნების ხელით: -ვაჭრობა გინდა-სხვის ხელშია, გამგეობა ჩვენი ბედისა-სულაც არ გვეკითხება ჩვენა, მისვლა-მოსვლაში სხვას შევყურებთ. ერთი სიტყვით, დაგვწოლია კისერზედ ცხრათავიანი დევი და ყოველ ჩვენ საქმეს იგი ასრულებს, რასაკვირველია, ჩვენდა საზარებლად. იგი სუნთქავს ჩვენს მაგივრად, იგი ფიქრობს ჩვენი ტვინის საფიქრებელზედა და სხვანი. ეს დევი გახლავთ ჩვენი დაწყევლილი ბედი, ჩვენი ცხოვრების გარემოებანი“.

ქართველი ხალხოსნების შეხედულებით, ეროვნული გრძნობა ჩვეულებრივი, ბუნებრივი გძნობაა საღი ადამიანისათვის და ამ ეროვნული გრძნობის ღირებულება, მათი გაგებით, იმდენადაა ღირსების მატარებელი, რამდენადაც ის ხალხის მდგომარეობის

გაუმჯობესებას ემსახურება. ერთი და იგივე მამულის შვილნი, -წერს სტ. ჭრელაშვილი,- განირჩევიან ერთმანეთისაგან არა მამულის სიყვარულით, არამედ იმითი, თუ რომელი მათგანი მომეტებულ სამსახურს გაუწევს თავის სამშობლოს. მაშასადამე,- „ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა გამოვიკვლიოთ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა, მისი ისტორიული მიდრეკილებანი, ტრადიციები, მისი ჩვეულებანი, მატერიალური გარემოებანი, მისი ავი და კარგი, მოკეთე და მტერი, ერთი სიტყვით, მთელი მისი ავან-ჩავანი, რომ ამით წარმოდგენილი გვქონდეს მისი ფიზიონომია, და შეძლებისდაგვარად, მივცეთ მას ხელი, ვაჩვენოთ მას გაუმჯობესების საღსარი და შეუდგეთ იმ გზას, რომელიც დააყენებს წარმატებისაკენ“.

ჩვენი ხალხოსნები, როგორც ცხოვრების დუღილის მორევში გამოსულნი, აწმყოსი და მომავლის შვილები არიან. მთელი მათი გულისყური აწმყოს გაუმჯობესებისა და უკეთესი მომავლის გამოჭედვისაკენაა მიმართული. ამიტომ ვერ ეგუებიან იმ პატრიოტებს, რომელთათვისაც „დიდება ივერიისა“ წარსულში იყო დამარხული და წარსულის დიდებით თავი დიდად მოჰქონდათ და კმაყოფილების ალერსით თვრებოდნენ. არ შეიძლება ,- წერს ნიკო ხიზანაშვილი,-წარსული აღიარებული იქნას ცხოვრების დასაბამად და დასაწყისად, რადგანაც ეს წინააღმდეგი იქნებოდა საზოგადო წარმატების კანონისა... ეს უკანასკნელი (ბედნიერი მომავალი) უნდა იყოს მიზანი ხალხისათვის მოღვაწე პირთა. ამისათვის საჭიროა წინ ცქერა და არა უკან ხედვა, გოდვა და ტირილი კი არა წარსულზედ, მხიარული სიმღერა კეთილ მომავალზედ... თუ აწმყო შავითა და ბნელით მოცულია, ეს კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ წარსული ელვარებდა წმინდა ნათელით; თუ კიდევ აწმყო ქვევით სდგას წარსულზე, აქედან ის დასკვნა არ გამოდის, რომ წარსული უნდა შეადგენდეს ჩვენს „წმინდათა-წმინდასა“.

აშკარაა, ხალხოსნებს ეროვნული საკითხი მჭიდროდა აქვთ დაკავშირებული ხალხის მასების ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა მოვლენის რადიკალურ გადაჭრასთან.

ჩვენი ხალხოსნები ეროვნულ შეხედულებას არამც თუ ვიწროდ არა ფარგლავენ, პირიქით, მათი ღრმა რწმენით, რაც ბევრი ჭკუა შეერთდება ერთად, ბევრი ხელი და ფეხი, ზურგი და წელი მიეცემა ერთს საყოველთაო შრომას, რაც უფრო დიდად ეყვარება ყველას ერთმანეთი, მით უფრო ბევრი საქმე გაკეთდება, მით უფრო მომეტებული დღეგრძელობა ჩამოვარდება კაცობრიობაში... „ვისაც მართლა თავისი ხალხი უყვარს,- წერს ტატალა, -იმას იმავე სიყვარულით უნდა უყვარდეს მთელი ქვეყნიერებაც, რადგან მისი ხალხისათვის საჭიროა ქვეყნიერების დახმარება და ქვეყნიერებისათვის კიდევ იმისი ხალხისა. აი ნამდვილი პატრიოტობაც და მამულის სიყვარულიც ეს არის“.

ცხადია, ჩვენი ხალხოსნების შეხედულებაში ეროვნული გრძნობა ფართო ფარგლებში იშლება. ცხადია, ამ მხრით, ჩვენ ხალხოსნებს შედარებით წინათაობებთან, ეროვნული საკითხის გადაწყვეტა ახალ ეტაპზე აჰყავთ. ერის წინმსვლელობა დაკავშირებული აქვთ საერთო კაცობრიობის, სხვა ქვეყნების განვითარებასთან. აკი ისინი პრაქტიკულ მოღვაწეობაშიც ფართო გეზს ატარებენ. ჩვენი ხალხოსნების ადგილობრივი რევოლუციური ჯგუფი მიზნად ისახავდა მოემზადებინა „მთელი კავკასიის მოსახლეობა, განურჩევლად ეროვნებისა, საერთო აჯანყებისათვის იმ მომენტში, როდესაც შიდა რუსეთში დაკრავდა ბრძოლის საათი“.

ყველა აღნიშნულიდან უდაოა, რომ

ჩვენი ხალხოსნებისათვის ეროვნულ საკითხსა და გრძნობას, მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობით გამახვილებულს, სიმწვავე და სიმკვეთრე არ ჰქონდა, რაც რომანტიკოსებში. ეროვნული საკითხი ჩვენი ხალხოსნებისათვის მტკივნეული და საჭირბოროტო საკითხია, მაგრამ ეს საკითხი ისე ძირითადად არ იპყრობს მთელ მათ შემოქმედებით ნიჭსა და უნარს, როგორც ამას თერგდალეულთა მოღვაწეობაში აქვს ადგილი.

ხალხოსნები ბრმად აჰყვნენ რუს ნაროდნიკებს, ისინი ვერ ხვდებოდნენ რომ უმთავრესი პრობლემა ეროვნული თვითგამორკვევა იყო. ამიტომ ვერც შესაბამისად

საქართველოს ისტორია შეაფასეს. პირიქით, გლეხკაცის ცხოვრების შეფასებაში „იმედის“ თანამშრომელნი არ იზიარებდნენ „დროება“-„ივერიის“ მიერ ჩვენი ხალხის წარსული ცხოვრების განდიდებას, გაიდეალებას, ერთგვარი ქება-დიდების შესხმას. ასეთი გზა „იმედს“ ისტორიის დამახინჯებად მიაჩნია. გადაჭარბებული მუქი ფერებით ხატავენ ქართველი გლეხის უკიდურეს ყოფას და კიდევ უფრო აღრმავებენ უფსკრულს ქართულ საზოგადოებში. ხალხოსნებმა თვით გლეხთა შორის დაიწყეს დიფერენცირება და წაქეზება ურთიერთდაპირისპირებისაკენ. ასევე უნდა ითქვას, რომ ძირითადი აქცენტი აიღეს კუჭის გზაზე, და სულიერება საერთოდ უგულვებელყვეს. ვფიქრობთ ეს იყო უდიდესი ნაკლი ხალხოსნური მწერლობისა, რომელიც თავისი ბუნებით ვერ ასახავდა სრულ სიმართლეს და რეალობა განზრახ იყო გამუქებული. რას იძლეოდა ეს? ამის პასუხი, ალბათ, ის იყო მათი გადასახედიდან, რომ რაც შეიძლება გაეღვივებინათ პროტესტი გლეხობაში და აემხედრებინათ ვის წინააღმდეგ? ეს კი საკითხავი იყო.

ილია ჭავჭავაძემ 1887 წელს დაწერა „ოთარაანთ ქვრივი“, სადაც იგი მწარედ მოთქვამს, არჩილის პირით, რომ ღირსეული ქართველი თავის ნახევარს ვეღარ სცნობს. რომ სასწრაფოდ აღსადგენია წოდებათა შორის ჩატეხილი ხიდი. ხალხოსნები კი ამ ხიდის აღდგენის მაგივრად, უფრო აღრმავებენ უფსკრულს.

გლეხკაცი, რომელიც, ხალხოსნების შეხედულებით, მომავლის ბურჯად უნდა შეიქმნას, ყოველ დროს დაჩაგრულ არსებადაა გამოყვანილი. ახლაც, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც დაჩაგრული დარჩა. მართალია, ამ აქტის შემდეგ, თითქოს, მან პირადი თავისუფლება მოიპოვა, თითქოს ის ადამიანად იქნა აღიარებული და ცნობილი, მაგრამ უფლებას ხომ მოპოვება, შენახვა და დაცვა უნდა. ამას კი ეკონომიურად გამაგრებული წელი ესაჭიროება, რაც ჩვენს გლეხს ყოველთის აკლია. ამიტომ მონობის უღელი კვლავინდებურად მძიმედ ედგა მას კისერზე.

სოფრომ მგალობლოშვილი აი როგორ გვიხატავს გლეხკაცის მდგომარეობას ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ: „რაც დღე გადიოდა სოფელი უკან-უკან მიდიოდა,

ღარიბ-ღატაკდებოდა; ვისიც ოჯახში ხალხი მრავალი იყო, იმას კიდევ არა უშავდა რა; ვინც მარტოხელა იყო, მისი საქმე მთლად დაღუპული იყო: სული გაუნთავისუფლდა ხალხს, ხორცი კი ბატონს დარჩა; სულის ძალა ჯანის სინამდვილეზეა დამყარებული, თუ ხორცი უძლურია, სულიც უძალოა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ხალხის სულიც ბრჭყალებში ჩაიჭირეს და მისი სულის თავისუფლება გალიაში ჩამწყდეულ ბულბულის ყოფაში ჩავარდა, ყოველ მხრივ შეუზღუდა თავისუფლება; საითაც კი გაიწევდა მაგარ კედელს აწყდებოდა, როგორც გალიაში ჩიტი-ბულბული". (მიხ. ზანდუკელი, სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. ახალი ქართული ლიტერატურა ტომი-3, გვ.48)

გიორგი ჭრელაშვილი, „იმედის" ერთ-ერთი თანამშრომელი, ამ ხალხის სახელით აღფრთოვანებითა და იმედით ასე მიმართავს „იმედის" ჯგუფს:

„ყველა მოგვღვარძლა უსამართლობამ...

მსხნელად გამოჩნდი...მაშ აჰა ხელი!

შეღავათს, ძმობას, პატიოსნებას

ეხლა კი მტკიცედ შენგან მოველი.

წინასწარ მთქმელად, გინდ იყო ერთი,

ნუ შეშინდები-ახსენე ღმერთი!

ბევრი ისურვებს შენსა დაჩაგვრას...

მაგრამ დაუხვდი,-ვერ დაგძლევს ავი,

იყავ ტანჯულთა მომხრე, ერთგული,

სიმართლეს დაბლა დაუკარ თავი!

ხალხს ჩააგონე სიტყვა მართალი,

მაღალ აზრს მიეც გზა რიგიანი,-

გულში ჰკარ მტერსა მწვეტი ისარი

და იყავ მუდამ პატიოსანი!“

ამგვარი განწყობილებით გამოდის „იმედის“ მთელი ჯგუფი, ხალხის წიაღიდან გამოსული მოღვაწეთა გუნდი, ხალხის ცხოვრების კარგი მცოდნე და, მართლაც, მოაქვს საზოგადოებაში ბევრი ყურადღების ღირსი და თავზარდამცემი ამბავი ტანჯული ხალხის ცხოვრებისა. სწორედ ამ ჯგუფმა დაისახა საზოგადოებისათვის გაეცნო ამ ხალხის მძიმე მდგომარეობა: მისი კულტურულად დაქვეითება, მისი ეკონომიური უილაჯობა, მისი სულიერი ტკივილები-თუ რა ჰღუპავს და რა ჰნთქავს მას, რა ანადგურებს მის სიცოცხლეს. ამასთან ერთად ეს ჯგუფი შეეცადა ეჩვენებინა ხალხის ბუნებისა და ცხოვრების დადებითი მხარეებიც, რომელთაც შეუნახეს და არ მოუსპეს მას ცხოველმყოფელი ძალა. შეეცადა ხალხის ცხოვრებისაგან ხშირად შევიწროვებულ და გატეხილ გულში ღრმად ჩაეხედა და ამოეკითხა მისი მისწრაფებანი.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ხალხოსნები, მიუხედავად მათი ორმაგი ბუნებისა-რეაქციონურ-პროგრესულისა, გატაცებით წავიდნენ აღებული გზით და მტკიცედ შეებრძოლნენ დაბრკოლებებს არჩეულ ნარეკლიან გზაზე.

ჩვენი ხალხოსნების მოღვაწეობა მხატვრულ ლიტერატურაში ძირითადში ერთი მთავარი კულტურტრეგერული მოღვაწეობის გზით გაიშალა. მართალია, ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ხალხოსან მწერალთა შორის გვხვდებიან რევოლუციონური მიმართულების გამომხატველნიც, - მაგალითად სოფრომ მგალობლიშვილი.

ხალხოსანთა სულისკვეთებას, მისწრაფებას და მათ გამომწვევ მიზეზებს ნიკო **ლომოური მშვენივრად გვიხატავს თავის მოთხრობაში „გიგო ღრუბელაშვილი“**. გიგო ღრუბელაშვილი ტიპია გატაცებული ხალხოსნისა, რომლის ფიქრი და გონება ხალხის

ბედს გადაჰკიდებია და ეს ჭირისუფლად შექმნილა. „მას წარმოუდგა, - გადმოგვცემს ღრუბელაშვილის სულისკვეთებას ავტორი, - საცოდავი ქოხმახები, რომლებშიაც მცხოვრებნი ამ სოფლებისა წვითა და დაგვით ათრევდნენ თავიანთი სიცოცხლის მწარე დღეებსა. ის ცხადად ხედავდა გლეხკაცის განუზომელ სიღარიბეს, მის დავრდომილობას, მისი აზრისა, გრძნობისა და გონების დაუძლურებას. ხედავდა მის გამუდმებულ მძიმე ჯაფასა, რომლისაგან იგი ჯანითა და აგებულობით სუსტდებოდა, წრიოკდებოდა და გადაშენების საზარელ უფსკრულს უახლოვდებოდა. შემდეგ მას გადაეშალა წინ საზიზღარი სურათი იმ ავაზაკთა კრებისა, რომელნიც მთელი თავიანთი მეცადინეობით ხელს უწყობენ მუშა კაცის უბედურებასა, მის დაჩაგვრას და მიწასთან გასწორებასა. ბოლოს მას წარმოუდგა ის შავბნელი გარემოებანი, რომელთაც დაბადეს ქვეყნად, ერთის მხრივ, ეხლანდელი მშიერ-მწყურვალი გლეხკაცი, ხოლო, მეორეს მხრივ, მისი ოფლისა და სისხლის მსმელი, მისი მჭამელა ორფეხა ნადირი...

„არა, არა, - დაიძახა გიგომ ხმამაღლა, - საქმე ძლიერ ცუდათ მიდის. ასე რომ გაგრძელდეს კიდევ ოციოდე წელიწადს, ხალხი სრულიად დაეცემა, სასოებას დაჰკარგავს: სიღარიბე და უსამართლობა სამუდამოთ ბოლოს მოუღებენ მას. დაე, რაც მოსახდენია მოხდეს. მე უნდა მივეშველო ხალხსა, ძმურად გვერდში ამოვუდგე და მის ფეხზე წამოყენებას შევწირო მთელი ჩემი სიცოცხლე“!

ამ ნაწყვეტში და მთლიანად ხსენებულ ნაწარმოებში ნიკო ლომოური მეტად მკვეთრად იძლევა არა მარტო ჩვენი ხალხოსნური მიმართულების გამომწვევ მიზეზს, მის მიზანსა და სამოქმედო გეგმასა, არამედ საერთოდ ხალხოსნობისასაც, ხალხოსანთა ამ დეკლარაციას თავისუფლად ხელს მოაწერდნენ არა მარტო ქართველი, არამედ რუსი ხალხოსნებიც.

აი ასეთი მიზნისა და გეგმის განხორციელებისათვის ხალხოსნებმა გამოიყენეს „ხალხში სიარულიც“, ჟურნალიც და მხატვრული შემოქმედებაც, განსაკუთრებით 70-80 წლებში.

ქართული ხალხოსნური მწერლობის გამორჩეული წარმომადგენელია სოფრომ მგალობლიშვილი. მისი განსხვავება თანამოკალმეთაგან, იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ შემოიფარგლა ქართლის სოფლების სინამდვილის მხატვრული ასახვით და თავის პერსონაჟებს ქალაქშიც გაჰყვა. მან პირველმა შექმნა ეპიკური პროზის შესანიშავი ნიმუში „დემეტრეს სახლობის“ სახით, სადაც მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლების ქალაქური ყოფის სურათები აისახა. ასევე მის გამორჩეულობას განაპირობებს მისი მემუარული ჟანრის თხზულება - „მოგონებები“, რომელიც საუკეთესო ნიმუშთაგანია ამ ჟანრის ნაწარმოებებს შორის. ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის ძირითად ნაწილს, სწორედ ამ ნაშრომს ვუთმობთ.

სოფრომ მგალობლიშვილი ქართული კრიტიკული რეალიზმის ტრადიციებზე აღიზარდა, მაგრამ ხალხოსნურმა მსოფლმხედველობამ გარკვეული კვალი დააჩნია მის შემოქმედებას. ისე, როგორც სხვა ხალხოსანი მწერლები (ნ.ლომოური, ეკ.გაბაშვილი და სხვები) სოფრომიც რეფორმის შემდეგი დროის გლეხკაცობის ყოფას ეხება. ჩვენი აზრით, ხალხოსანთა მიერ ამ თემის ასეთ დონეზე ატაცება ერთი მხრივ, კი ცხადყოფს პრობლემის საგლეხო რეფორმის უშედეგობის აქტუალობას, მაგრამ მეორე მხრივ, გლეხობის თემის ნაძალადევად გაფეტიშებას აქვს ადგილი. თუმცა ჩვენ ვცდილობთ ობიექტური შეფასება მივცეთ ქართულ ხალხოსნურ მწერლობას, მაგრამ რა თქმა უნდა ჩვენი მიზანი სულაც არ არის მათი მხატვრული მემკვიდრეობის უგულვებელყოფა. არც შეცდომებისაგან ვიქნებით დაზღვეულნი. ამიტომ მზად ვართ გავიზიაროთ ჩვენი ოპონენტების შენიშვნებიც. აქვე გვინდა დავსძინოთ, რომ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობამ გადაჭარბებით შეაფასა მათი მნიშვნელობა, რადგან ისინი ხომ ფაქტობრივად სოციალისტების წინაპრები იყვნენ.

სოფრომ მგალობლიშვილი

მგალობლიშვილები მესხეთიდან ყოფილან და ბალაძეებად იწოდებოდნენ. მათ კარგი გალობა სცოდნიათ. მე-18 საუკუნის ბოლოს სოფრომის პაპის პაპა კათალიკოსს წამოუყვანია ქართლში და დირბში დაუსახლებია. სოფრომის პაპა სიმონი განათლების

მოყვარული კაცი ყოფილა და უზრუნია შვილიშვილის სოფრომის კარგად აღზრდაზე, რასაც შემდგომ მწერალი გულთბილად იგონებდა. სოფრომის მამა ზაქარია ჯერ მასწავლებლობდა და შემდეგ, 1851 წელს, მღვდლად გაუმწესებიათ ოსეთში, სოფელ ნარაში. მწერლის დედა მარიამი გვარად ბიბილური იყო. „ვეფხისტყაოსანსა“ და სხვა წიგნებს პატარა სოფრომს პაპა და დედა უკითხავდნენ.

სოფრომ მგალობლიშვილი დაიბადა 1851 წლის 1 ივლისს სოფელ დირბში. წერა-კითხვა დედ-მამამ ასწავლეს, მათვე გაუღვიძეს ქართული ლიტერატურის სიყვარული. 1860-67 წლებში სოფრომი გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა.

სკოლაში „პირველ შესვლაზევე ვიგრძენ ჯოჯოხეთის ალი, - წერს სოფრომ მგალობლიშვილი, - კლასში იდგა გნიასი, ყვირილი, ტირილი, - ამას როზგს სცემდნენ ტიტველა ტანზე, იმას სახაზავს უტყაპუნებდნენ ხელზე ან თავზე, ზოგს თმას აწიწკნიდნენ, ზოგს ყურებსა - ეს ორი უკანასკნელი სასჯელი უფრო შეღავათიან სასჯელს წარმოადგენდა“. მასწავლებლები მოსწავლეების აღზრდისა და განათლებისათვის თავს არ იწუხებდნენ, ლოთობდნენ, სცემდნენ და აგინებდნენ მოსწავლეებს. ამიტომაც თავისი მოსწავლეობის პერიოდს ასე იგონებს სოფრომ მგალობლიშვილი: „ახლაც კი, ამ მოხუცებულობის ჟამსა, ტანში გამაჟრჟოლებს და ციებ-ცხელება ამიტანს ხოლმე, როდესაც წარმოვიდგენ ძველს სკოლასა თვისის განუშორებელი ატრიბუტებით: როზგი (წკეპლა), სახაზავი, დუქნის დარაბად წოდებული, დაჩოქება კენჭებზედ, სილა, ყურების წიწკნა, თმის გლეჯვა და ათასი სხვა ჯანდაბა, ხშირად ვხედავ არითმეტიკის ეგზამენს: ვდგევარ ხესავით, ინჩი-ბინჩი არა მესმის-რა, ჩამომდის ოფლი, მიშხაპუნებენ თავ-პირში როზგს და პანღურის ცემით მისტუმრებენ. მეღვიძება, ხვითქში ვცურავ და მადლობას ვწირავ შემოქმედსა, რომ ეს სიზმარი იყო და არა ცხადი“.(გ.ასათიანი, გ.აბზიანიძე, ალ.კალანდაძე, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი-1974. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი-4. გვ.523.)

ეს იყო მიზეზი, რომ 1867 წელს სოფრომ მგალობლიშვილი თითქმის მოუმზადებელი შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. აქ შედარებით უკეთესად გამოიყურებოდა სწავლა-აღზრდის საქმე, რაც გამოჩენილი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის ზრუნვის შედეგი იყო. თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის წლებმა სოფრომ მგალობლიშვილს მაინც დიდი სარგებლობა მოუტანა. ამხანაგებთან ერთად ის გატაცებით კითხულობდა ქართულ-რუსულ მხატვრულ ლიტერატურას, პოლიტიკურ და მეცნიერულ წიგნებს, „საქართველოს მოამბის“, „ცისკრისა“ და „დროების“ ნომრებს.

განსაკუთრებით კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინეს მოსწავლეებზე და, მათ შორის რასაკვირველია სოფრომზედაც, მასწავლებლებმა: თომა ტურიაშვილმა, გიორგი იოსელიანმა, ნიკოლოზ ცხვედაძემ და სხვებმა.

ერთ საინტერესო ფაქტს გადმოგვცემს სოფრომ მგალობლიშვილი თომა ტურიაშვილის შესახებ. ტურიაშვილი განათლებული, სათნო და ძალიან კარგი პედაგოგი ყოფილა. ერთხელ შესულა ის მეხუთე კლასში, სადაც 80-მდე მოსწავლე იმყოფებოდა, უბიდან წიგნი ამოუღია და ახალგაზრდებისათვის ისე მიმზიდველად წაუკითხავს ილია ჭავჭავაძის „სცენები მომრიგებელ მოსამართლესთან“, რომ მთელი კლასი აღტაცებაში მოუყვანია.

„ის დღე იყო და ის დღე, - წერს სოფრომ მგალობლიშვილი,-გავიგეთ გემო ქართული წიგნების კითხვისა, შემოგვქონდა გარედან ქართული ჟურნალ-გაზეთები და ვკითხულობდით ცხადად, დამშლელი ჯერ არავინ იყო“.(გ.ასათიანი, გ.აბზიანიძე, ალ.კალანდაძე, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი-1974. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი-4, გვ. 525.)

ეს ის დრო გახლდათ, როდესაც სემინარიაში ქართული ენა და ლიტერატურა ჯერ კიდევ არ ისწავლებოდა და ქართველი მოსწავლეები მშობლიურ ლიტერატურას მხოლოდ კლასგარეშე კითხვით ეცნობოდნენ.

დიდი სიყვარული ჰქონდათ დამსახურებული აგრეთვე სოფრომის მასწავლებლებს გიორგი იოსელიანსა და ნიკო ცხვედაძეს. „ამათი მოსვლიდან სრულიად ახალი ხანა დაიწყო სემინარიაში, საგნებს ასწავლიდნენ კარგად, შეგირდებს ადამიანურად ეპყრობოდნენ, გვაძლევდნენ საკითხავ წიგნებსა, გვაყვარებდნენ სამშობლო ენას და ლიტერატურას“.

სემინარიაში ყოფნის დროს სოფრომ მგალობლიშვილმა და მისმა ამხანაგებმა დაიწყეს ხელნაწერი ჟურნალის „შრომის“ გამოცემა. ჟურნალში მონაწილეობდნენ: გიორგი უთურგაული, ნიკო ლომოური, ი. ბქარაძე, მ. სანებლიძე, შ. შიუკაშვილი, იონა მეუნარგია და სხვები. ამგვარმა მუშაობამ დასახელებული ახალგაზრდები ერთგვარად მოამზადა სალიტერატურო და ასზრივ ასპარეზზე მოღვაწეობისათვის.

ჭაბუკი სოფრომი ზაფხულს თავის სოფელ დირბში ატარებდა. აქ იგი ახლოს ეცნობოდა გლეხთა ცხოვრებას, გულმოდგინედ აკვირდებოდა ხალხის ყოფას, ზნე-ჩვეულებებს, მისწრაფებებს. „ჩემთვის ეს ცხოვრების, ბუნების დიდი წიგნი, საუკეთესო სახელმძღვანელო იყო; მასში ვკითხულობდი ბუნების სიმშვენიერეს, გლეხობის გაჭირვებულ ცხოვრებას, მის ჭირსა და ვარამს, მის ლხინსა და სულის მისწრაფებას, ამით აიხსნება, რომ სოფრომ მგალობლიშვილის პირველივე ორიგინალური მხატვრული ნაწარმოები, მოთხრობა „რა მიზეზია,“ - გლეხთა უნუგეშო ყოფას შეეხება.(გ.ასათიანი, გ.აბზიანიძე, ალ.კალანდაძე, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი-1974, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი-4. გვ. 526.)

მომავალ მწერალს საუცხოოდ ახსოვდა ის დრო, როდესაც „ჩაფრები მოედებოდნენ სოფელსა. სოფელი გაიკმინდებოდა; ყველას გული უძაგძაგებდა. ეს ძაგძაგი შიშისა არ იყო. ეს იყო ძაგძაგი სისხლის ძიებისა, დაგუბებულის ბოღმისა, ჯავრის ამოყრისა, მაგრამ კირთებისაგან გათელილ გლეხს მარტო გული უთრთოდა, მარტო გული უძაგძაგებდა. ძალა კი სულისა ჩაკლული ჰქონდა, ეს ძალა ვერ იშლებოდა მხოლოდ რჩეული შვილნი სოფლისა, ძლიერნი სულითა სარგებლობდნენ ამ ძალითა,

იმათ ვერ აშინებდა მათრახი ჩაფრის; მათრახს იფნის სახრეს ან შინდის კომბალს შეაშველებდნენ, ბევრჯერ აუჭრელებიათ ჩაფრები იფნის სახრით და თავი გაუჩეხიათ შინდის კომბლით“.(გ.ასათიანი, გ.აბზიანიძე, ალ.კალანდაძე, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი-1974. ქართული ლიტერატურის ისტორია,ტომი-4. გვ. 527.)

1873 წლიდან, სემინარიის დამთავრების და მასწავლებლობის დაწყების დღიდან სოფრომ მგალობლიშვილი ებმება ხალხოსნურ მოძრაობაში. თავის პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე მან არაერთ ქართველ ახალგაზრდას ჩაუნერგა სამშობლოსადმი სიყვარული, გაუკვალა ცხოვრებაში გზა და ხალხისადმი უანგარო სამსახურს შეაჩვია. ის ყოველმხრივ უწყობდა ხელს მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის რევოლუციური აზრების გავრცელებას და სხვებთან ერთად (ეგ. ოსელიანი, მიხეილ ყიფიანი, შ. დავითაშვილი, ვასილ დეკანოზიშვილი, მათე კერესელიძე, ვასილ სამადაშვილი დ სხვები) ხალხს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ამხედრებდა. გორში მოღვაწეობის პირველ პერიოდს ასე იგონებს სოფრომ მგალობლიშვილი: „სასწავლებელში ქართული ენის რვა გაკვეთილი იყო, ამისათვის ხაზინიდან არ იყო დადებული ფული და მასწავლებლები აგრე რიგად ქართული ენის სწავლებით თავს არ იტკიებდნენ. მე უსასყიდლოდ ვიკისრე სწავლება. ეს გარემოება ჩემთვის ხელსაყრელი იყო: ქართულით მოწაფეებს დავაინტერესებდი და ნელ-ნელა შევიტანდი ახალგაზრდობაში როგორც მამულიშვილურს, ისე კიდევ ახალი მიმართულების აზრებსა“. (გ.ასათიანი, გ.აბზიანიძე, ალ.კალანდაძე, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი-1974. ქართული ლიტერატურის ისტორია-1974. გვ.538.)

გორი რევოლუციური ხალხოსნური მოძრაობის ცენტრი იყო. პირველად აქ შეიქმნა ფარული რევოლუციური ხალხოსნური ორგანიზაცია, რომელშიც შედიოდნენ: მიხ. ყიფიანი, ეგნ. იოსელიანი, შ დავითაშვილი და სხვა. 1873 წელს მათ მიემატა სოფრომ მგალობლიშვილი. გორელმა ხალხოსნებმა მუშაობა გაშალეს მთელ საქართველოში. მათ კავშირი დაამყარეს აგრეთვე იმ ქართველ ხალხოსნებთან, რომლებიც იმხანად რუსეთში მოღვაწეობდნენ. სოფრომ მგალობლიშვილი ორჯერ იყო

დაპატიმრებული. პირველად, 1876 წელს, ხალხოსანთა ორგანიზაციის აღმოჩენისას, იგი წაიყვანეს გაკვეთილიდან, მაგრამ ვერ დაუმტკიცეს ფარული ორგანიზაციის წევრობა და მალე გაათავისუფლეს. მეორედ სხვა ხალხოსნებთან ერთად 1878 წელს დააპატიმრეს და საპყრობილეში მოათავსეს. ამჯერადაც იგი მალე გამოვიდა ციხიდან.

სოფრომი გორში კვლავ მასწავლებლად მუშაობდა. საერთოდ კი, ის გორში ყოფნის დროს ხშირად განიცდიდა შევიწროებას. მაგალითად, თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა უფროსი 1877 წლის 5 მარტს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს უგზავნის შემდეგ მიმართვას: „ჩემ მიერ წარმოებულ კვლევა-ძიების დროს სახელმწიფოებრივი დანაშაულობის შესახებ, სხვათა შორის, დაკითხულ იქნენ სახალხო სკოლის მასწავლებლები, სახელდობრ: სოფ. ენისელის მკვიდრი ივანე როსტომოვი, კარდანახის - ნიკოლოზ მრევლოვი, საგარეჯოს - ალექსანდრე ცხვედაძე, ხოვლეს - იოსებ ცხვედაძე, ქ. გორის - სოფრომ მგალობლიშვილი, რომელთა შესახებ ჩემ მიერ, თანახმად სისხლის სამართლის წესდების 416 მუხლისა, მათ ჩამოერთვათ ხელწერილი, რომ არ დასტოვონ საცხოვრებელი ადგილი. 1893 წლიდან კი რეპრესიების შიშით, სოფრომმა გორი დატოვა და ფოთში გადავიდა გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამმართველოს მდივნად. 1897 წელს სოფრომი თბილისში გადმოიყვანეს სინოდის კანტორის მდივნად, საიდანაც 1910 წლის მარტში გაათავისუფლეს, როგორც პოლიტიკურად „არასაიმედო პიროვნება“.

სოფრომ მგალობლიშვილი თავისი კალმითა და პრაქტიკული საქმიანობით ხალხის კეთილდღეობისათვის იღვწოდა. 20-21 წლის ახალგაზრდა იყო, როდესაც სემინარია დაამთავრა და ცხოვრების სარბიელზე გამოვიდა. თავის შეხედულებებსა და მისწრაფებებს ის გადმოგვცემს შესანიშნავ ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „წარსულიდან“: „დიდი თავგანწირულობა იყო, რომ ჩვენმა დიდებულმა მწერლებმა ახადეს ფარდა ბატონყმობის დროს და დაგვანახეს, როგორც სარკეში, ტანჯვა-ვაება ჩვენთა უმცროსთა ძმათა, დაგვანახვეს შელახვა კაცის ღირსებისა და ზნეობისა... ყველა ეს კარგი და პატიოსანი! ეხლა აგერ ხალხი განთავისუფლდა... ამ ახლად

განთავისუფლებულს ხალხსაც ეჭირვება ამჟამად თავისი მზე, რომელმაც მას სული უნდა ჩაუდგას, აამოძრავოს მისი სისხლი, მისი მთელი არსება, გამოიყვანოს იგი იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც არის. აი, ეხლა უნდათ მათ კაი პატრონი, რომ არ დაიქსაქსონ, რომ ...არ ჩავარდეს რკინის გალიაში, არ მიეცეს უარეს ბატონყმობის ბრჭყალებსა. ეხლა საჭიროა ხალხში კარგი მთესველი, დამრიგებელი, მქადაგებელი. საჭიროა მას უსათუოდ მიეცეს სწავლა-განათლება, უსათუოდ გამართოს სკოლები... ჩვენ უნდა გავიდეთ ხალხში მოძღვრებად, დავაარსოთ სკოლები განსავითარებლად ხალხის ჭკუა-გონებისა.(გ.ასათიანი, გ.აბზიანიძე, ალ.კალანდაძე. „საბჭოთა საქართველო“. თბილისი-1974. ქართული ლიტერატურის ისტორია.ტომი-4. გვ.539.)

...მე მრწამს, რომ იმ ხალხს, რომელიც მხოლოდ იღვწოდა მარტო იმიტომ, რომ დაეცვა თავისი წმინდა წმინდათა...ვალი - ანუ ხალხი, რომელიც არ ეპოტინებოდა სხვებს დასამორჩილებლად, დასაყმობად, რომელმაც თავის კალთის ქვეშ შეივრდომა ბევრი გაჭირვებულნი... ღმერთი არ გასწირავს, მაგრამ გულხელდაკრეფილი ჯდომა კეთილს არ დაგვაყრის“.

ამ რწმენით გამოვიდა ცხოვრებაში სოფრომ მგალობლიშვილი და სიკვდილამდე მისთვის არ უღალატია. შეძლებისდაგვარად მან პირნათლად მოიხადა ვალი ხალხის წინაშე. (გ.ასათიანი, გ.აბზიანიძე, ალ.კალანდაძე. „საბჭოთა საქართელო“. თბილისი-1974. ქართული ლიტერატურის ისტორია.ტომი-4. გვ 530.)

1905 წლის რევოლუციის პერიოდში მან დაწერა თავისი შესანიშნავი მოთხრობები: „ჯორ-ზაქარია“, „პირველი სისხლი“, „და შეჰფიცეს“. სოფრომ მგალობლიშვილის პირველი საყურადღებო მოთხრობა იყო „დედა მაია“. სოფრომ მგალობლიშვილი ხედავს, რომ გლეხობა საშინელ გაჭირვებაშია და მას მიაჩნია, რომ გლეხების ტანჯვის ძირითადი მიზეზი მხოლოდ მათი გაუნათლებლობაა.ასევე მიანიშნებს მათს ნაკლებადმორწმუნეობაზე, რაც ყველაზე მეტად აფერხებს ადამიანის სწორად აზროვნებასა და ცხოვრებას. დედა-მაია ნაკლებად მორწმუნე გლეხი დედაკაცის

ცოცხალი სახეა, მას აუკვიატებია მკითხავი და არა ეკლესიაში წასვლა და გულით შევედრება უფლის წინაშე, მაიას ძილი და მოსვენება დაეკარგა, როცა შვილი გაუხდა მძიმე ავად. როგორ უშველოს, როგორ იხსნას შვილი? მკითხავის დიდი იმედი აქვს, ყოყმანობს: „ვაითუ მკითხავთან წასვლამდე ფუჭად ჩაუაროს და შვილს ცოცხალს ვერ მოუსწროს? რა ქნას? რა იღონოს?

მართალია, ხალხოსნები ვერ ახერხებდნენ მაღალმხატვრულ და სოციალურ განზოგადებას, მაგრამ ისინი შეუდარებელი ჟურნალისტური სიზუსტითა და პირდაპირობით ლაპარაკობდნენ სოფლის სიდუხჭირეზე. სოფრომ მგალობლიშვილის მოთხრობაში ხალხის უმთავრეს მტრად სახელმწიფოებრივი სისტემა კი არაა გამოცხადებული, არამედ უსწავლელობა, ჩარჩ-ვაჭრები და მოხელეები. ნაწარმოებს არ ასხივოსნებს იმედი, რწმენა, სიყვარული და ჩვენი აზრით ამგვარი ტენდენცია ზოგადად არამართებული მიდგომა ამ წელის მხრიდან.

მოთხრობა „ცვრევაზე“ ასევე ხალხოსნური ილუზიებითაა გამსჭვალული. ავტორს სამაგალითოდ აუღია გაბრიელას პატრიარქალური ოჯახი, რომელიც ერთ დროს თურმე შვიდი სულისაგან შედგებოდა. გაბრიელი ძლიერი ოჯახის შვილი იყო, მაგრამ ძმები გაიყვნენ და დაინგრა დიდი ოჯახი გაბრიელისა. რძლებმა ოჯახი ყირას შეაყენეს, ეს დანგრეული ოჯახი კიდევ თუ ფეხზე დგას, ისევ გაბრიელას წყალობით. სოფელში მაინც გაბრიელი ითვლებოდა თავკაცად გონიერ გლეხადაც.

სოფრომ მგალობლიშვილი უმთავრესად სოფლის ყოფის მხატვარია, მაგრამ მის ნაწარმოებებში გვხვდება ქალაქის ცხოვრების სურათებიც. სოფლიდან ქალაქში სხვადასხვა მიზეზით საცხოვრებლად წასულ გლეხებს კვალდაკვალ მისდევდა გაჭირვება. ეს ყველაზე მკაფიოდ ჩანს მოთხრობაში **„დემეტრეს სახლობა“.** მწერალი მოგვითხრობს ქალაქელი წვრილი ხელოსნის დემეტრეს ოჯახის მწარე თავგადასავალს. დემეტრე 8 წლისა გაშორდა სოფელს და ჯერ გორში იყო შეგირდად, შემდეგ თბილისში წავიდა, „ქალაქის ბიჭებში გაეჩვია“ და შეეთვისა ქალაქს, ძმაკაცები გაიჩინა კინტოებში. ბუნტის

მონაწილე ძმაკაცისათვის დემეტრე ერთხელ პოლიციას შეეტაკა და დაპატიმრების შიშით იძულებული იყო სოფელს დაბრუნებოდა. აქ ლამაზი ნენე შეირთო, მაგრამ სოფლის მუშაობას გადაჩვეულმა ფეხი ვერ მოიკიდა და ისევ ქალაქს მიაშურა, სადაც მეჯღანეობა დაიწყო. ვერც აქ ამოისუნთქა თავისუფლად, გაჭირვებამ წელში გატეხა და დააავადმყოფა. როგორც მოსალოდნელი იყო, ხალხოსნური მრწამსის მიხედვით, რაკი მოქმედება ქალაქში ხდება, დემეტრეს დაღუპვაში მთავარ დამნაშავედ მწერალს ქალაქელი ვაჭარი ყაზარა გამოჰყავს. მწერალი დამაჯერებლად გვისახავს დემეტრეს გამოუვალ ეკონომიკურ მდგომარეობას, მის სულიერ აღშფოთებას, როცა ის ყაზარას მოკვლაზე დაიწყებს ფიქრს. უსახსრობით განადგურებულ დემეტრეს ლამაზი ცოლის ნამუსის გაყიდვის შემზარავი აზრიც გაურბენს. თვით ცოლსაც გაუელვებს უნებურად თავისი სხეულით ვაჭრობის შემაძრწუნებელი ფიქრი. დემეტრე მტერს მხოლოდ იმით უსწორდება, რომ სცემს. საჩივარი, სასამართლო, ვალი - კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობას უქმნის დემეტრეს. დემეტრეს და ნენეს დიალოგი:

„მაშ რა ვქნათ?- ჩაეკითხა საცოდავი ცოლი.

რა ვქნათ?! რას შვრება ცხვარი, ყასაბი რომ ყელში დანას დააბჯენს ხოლმე!-უთხრა ცხოვრებისაგან გათელილმა ქმარმა.

ასე მთავრდება „დემეტრეს სახლობის“ პირველი ნაწილი, რომლშიც აღწერილია, როგორ გასრისა ადამიანი კაპიტალისტურმა ქალაქმა. მეორე ნაწილში გადმოცემულია უპატრონოდ დარჩენილი მისი ცოლ-შვილის ასეთივე ბედი: ბავშვები მაწანწალებად იქცნენ, ქურდობას მიჰყვეს ხელი. სრულ დაღუპვას, რომ გადაარჩინოს შვილები, დედა იძულებულია მათი ოჯახის დამღუპველ ვაჭარს შინამოსამსახურედ დაუდგეს, ბოლოს მისი ხასაც გახდეს. მაგრამ ქალმა მეტისმეტი შეურაცხყოფა ვეღარ აიტანა: თავის დამღუპველს და ნამუსის ამხდელს მაშინ შეუსწრო, როცა მის ქალიშვილსაც მასავით გათელვას უპირებდა. აქ კი ნენემ ვეღარ მოითმინა და თავისი ოჯახის დამღუპველს ნაჯახით თავი გაუხეთქა.

1880-1903 წლების განმავლობაში მგალობლიშვილს დაწერილი და წარმოდგენილი აქვს კიდევ მრავალი სხვა მოთხრობა თუ მხატვრული ნარკვევი, მაგალითად: „წყროსთან“, „გლეხის ჩივილი,“ „მთის ბოროტი სული,“ „მეკვლე“ და სხვა.

სოფრომ მგალობლიშვილის დამსახურება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მის შემოქმედებაში დიდი სიყვარულით, ინტერესითა და კეთილსინდისიერებით არის წარმოდგენილი ქართული სოფლის სურათები.

სოფრომ მგალობლიშვილის მწერლური ღირსება მაშინვე შენიშნა ილია ჭავჭავაძემ. 1886 წელს როცა ახალგაზრდა მწერალს გაზეთ „ივერიაში“ იწვევდა, ილია წერდა: „თქვენის კალმის ნაწარმოებისათვის ჩვენის რედაქციის კარი ყოველთვის ღია იქნება და თქვენი თანამშრომლობა ყოველთვის სასიამოვნო და სასურველი. სოფრომ მგალობლიშვილს საპატიო ადგილი უჭირავს გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მწერლობაში. (გ.ასათიანი, გ.აბზიანიძე, ალ.კალანდაძე. „საბჭოთა საქართველო. თბილისი1974. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი-4, გვ. 523-530.)

სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებანი

მოგონებებს სოფრომ მგალობლიშვილი 900-იანი წლიბიდან მთელი სიცოცხლის განმავლობში წერდა და გზადაგზა სხვადასხვა ფორმით აქვეყნებდა კიდეც. პირველად მისი მოგონებები დაიბეჭდა 1910 წელს ჟურნალ „ერში“, სადაც ხუთი თავი მოათავსა, ხოლო შემდეგი თავების გამოქვეყნება განაგრძო გაზეთ „თემში“. როგორც ჩანს, სოფრომ მგალობლიშვილზე დიდი ზემოქმედება მოახდინა ა. წერეთლის შედევრმა-„ჩემი თავგადასავალი“. სწორედ მისი შთაგონებით წერდა მწერალი თავის მოგონებებს. იგი ამბობს: „არც ერთმა ჩვენმა დიდებულმა მწერალთაგანმა არ დაგვიტოვა თავისი განვლილის ცხოვრების მოგონებანი. დღიურის წერა ხომ წესად არა გვაქვს. ერთადერთმა აკაკიმ გაიხსენა თვისი წარსული და მშვენიერად, აკაკურად გადმოგვცა

მოგონებანი თავისი დიდებული ცხოვრებისა. ყოველი საზოგადო მოღვაწე თუ ლიტერატორი რომ გაგვაცნობდეს თავისს წარსულს ცხოვრებას, ნანახს და გაგონილს, ჩემის აზრით, ეს დიდი განძი იქნება ჩვენი აწმყოსა და მომავლისათვის“.

მწერალი აღნიშნავს, რომ მემუარების წერა მძიმე და სერიოზული საქმეა და მით უფრო საშური შესასრულებლად; ამიტომ განუზრახავს, რომ „მოიგონოს თავისი წარსული და გადასცეს ჩვენს საზოგადოებას“.

საგულისხმოა, რომ მწერლის მოგონებებს სურს შემოინახოს ის, რაც იყო და უკვე ქრება, იცვლება და იცვლება, სამწუხაროდ უარესობისაკენ. მით უფრო საგულისხმოა ჩვენთვის სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებანი, როცა მისი დროიდან საუკუნეზე მეტი გვაშორებს, ჩვენს დროში კი ტემპი ცვლილებისა უარესობისაკენ კიდევ უფრო გაზრდილია.

სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებები იწყება მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან ქართლის სოფლის აღწერით. მწერალი ადარებს 900-იანი წლების სოფელს თავის ბავშვობის დროინდელს და ფიქრობს სინანულით, რომ ბევრი რამ შეიცვალა უარესობისაკენ, რომ ახლანდელი სოფელი აღარ ჰგავს უწინდელს.

პირველ ყოვლისა, მწერალს აღონებს ის, რომ თანდათან იშლება ძველი პატრიარქალური ოჯახები. ადრე თურმე იშვიათი იყო ძმათა გაყრა. თვითონ სოფელი ვერ ეგუებოდა ერთმანეთთან შეუფერებელ ძმებს. ხშირი იყო ოჯახი, რომელიც სამოცი სულისაგან შედგებოდა, ოც-ორმოცკაციანი ოჯახი ხომ სათქმელადაც არ ღირდა.

სოფელ ტახტიძირში იყო ბაციკაძეების ოჯახი- ასამდე სული ცხოვრობდა აქ. სიმრავლე ოჯახის სიძლიერის საფუძველი იყო, „რაკი ოჯახში ბევრი მუშა ტრიალებდა, იგი შეძლებულიც იყო“. გაჭირვება მარტოხელა კაცის სენი იყო. როცა დაიშალა ბაციკაძეების ოჯახი, დასუსტდა, „მხოლოდ ხსოვნაღა დარჩა დიდებული ოჯახისა“.

შრომა ასეთ ოჯახებში განაწილებული იყო. ოჯახის უფროსები, პაპა და ბებია, ყავარჯენდაბჯენილნი, რიგს აძლევდნენ სახლში მომუშავეებს. ყველას თავისი საქმე ებარა და პირნათლად ასრულებდა მას: ერთი გუთნისდედა იყო საკუთარი გუთნეულით, მეორე- ფეიქარი, მესამე- მეფუტკრე, მეოთხე- მეცხვარე... ქალებშიც განაწილებული იყო საქმე.

მემუარისტის არგუმენტირებული აზრით, ერთი ან ორსულიანი ოჯახი დასაღუპავად განწირული იყო, რადგან თავის და ბატონის სამუშაოს იგი ვერ აუვიდოდა. ერთი სიტყვით, თავის დროზე დიდ პატრიარქალურ ოჯახებს ჰქონდა გამართლება და ამიტომაც წარმოიქმნა ისინი.

აქვე მწერალი გვაცნობს სიტყვა „მოცადობას“, რომელიც ათ-თორმეტ წლამდე გოგო-ბიჭებს გულისხმობს. მათ უფროსები უსაქმოდ არ აყენებდნენ, თავიდანვე აჩვევდნენ შრომის სიყვარულს. თავის დროზე აძლევდნენ თამაშის ნებასაც. წვრილმანი საქმეები მათი გასაკეთებელი იყო. უქმე დღეებში არავინ მუშაობდა. წირვა-ლოცვის შემდეგ გვიანობამდე თამაშობდნენ და ერთობოდნენ.

საყურადღებოა, რომ მემუარისტი საგანგებოდ ჩერდება და დაკვირვებული ეთნოგრაფის თვალით აღწერს ქართულ ხალხურ თამაშობებს. იგი წუხს, რომ ძველი ქართული სპორტი-ბურთაობა, რომლის ხუთ-ექვსნაირი სახეობა არსებობდა, იმერეთში თუ შემორჩა აქა-იქ. იგი ახასიათებს გაკვრა-ბურთს, დახლა-ბურთს, წრე-ბურთს.

ა. წერეთელი თავის „ჩემს თავგადასავალში“ საგანგებოდ საუბრობს ქართულ თამაშობებზე. „ქართველების ოდენა სხვადასხვაგვარი სათამაშო თითქმის არც ერთს ხალხს არა აქვს,- ამბობს იგი,- და ყოველგვარი სათამაშოც უთუოდ ისეთია, რომელიც ჭკუა-გონებასა და სხეულს სწვრთნის, ავარჯიშებს... დავასახელებ მხოლოდ „ბურთაობას“. აბა, რომელი „გიმნასტიკა“ შეედრებაა მას? ბურთაობის დროს თვალი, ფეხი, ხელი, თავი, ტანი და ყველაფერი თანასწორად ეჩვევა სიმარდეს“.

შარმანკა (რუს).-არღანი. შარმანკული ხმები- არღნული, აღმოსავლური მუსიკა.

მწერალს ადარდებს, რომ დაიკარგა ძველი სიმღერა-თამაშობანი; ახლანდელ სოფელს, ქალაქს აღარ ეპიტნავება ქართული ბურთაობა-თამაშობანი, ქართული სიმღერა-გალობანი. დიდი ცდა სჭირდებათ ქართველ მუსიკოსებს, რათა აღადგინონ და გაავრცელონ ჩვენს სულიერად დაცემულ ერში სიყვარული ნამდვილი ქართულ სიმღერა-გალობისა.

სოფრომ მგალობლიშვილი თავისი დროისთვის სხვებზე უფრო კატეგორიულად ფიქრობს, რომ რუსულის გავლენით ქართველს ქართულად აზროვნებაც ავიწყდება და სიმღერა-გალობაც; „ჩვენი ტვინის სისტემა მეცხრამეტე საუკუნეში სრულად გადაკეთდა, გარდაიცვალა... დამახინჯდა!“ თანამედროვე ინტელიგენტი ქართველი ქართულად აღარ ფიქრობს და აღარ წერს. მისი ნაწერები რუსიციზმებით არის სავსე.

სოფრომ მგალობლიშვილის სიტყვით, სოფელი ხშირად მოკლებული იყო გონებრივ მწვრთნელს და ამ ფუნქციას მღვდელი თუ ასრულებდა. ის იყო სოფლის ჭეშმარიტი ინტელიგენტი, მასწავლებელი და დამრიგებელი. ბავშვების აღზრდაც მისი საქმე იყო. ის უკითხავდა სოფლელებს კვირა-უქმით „ვეფხისტყაოსანს“, „დავითნს“, „სიბრძნე-სიცრუისას“, უხსნიდა სახარებას. ბუნებრივია, განუზომელი იყო მისი როლი სოფელში. ხალხიც პატივისცემით ეპყრობოდა მას. ასეთები იყვნენ სოფრომის პაპა და მამა, გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძეების პაპა- ფილიპე ყიფშიძე, პეტრე სამადალაშვილი.

მემუარისტის გადმოცემით, სოფლების უმრავლესობას ჰყავდა მებატონე თავადი ან აზნაური. ზოგიერთ თავადს აზნაურებიც ჰყავდა ყმებად-საბატონო აზნაურები. იყო სულ რამდენიმე სოფელი, რომლებსაც ბატონყმობის სუსხი არ უწვნევია. უბატონო სოფელი დიდად განირჩეოდა საბატონოსაგან პირდაპირობით, ზნეობით, შეძლებითაც. ერთი სიტყვით, საბატონო სოფლის გლეხები აშკარად უფრო დაჩაგრულნი იყვნენ, ეკონომიკურადაც უფრო გაჭირვებულნი.

ამ ფონზე გვაცნობს სოფრომ მგალობლიშვილი თავის მშობლიურ სოფელ დირბს. დირბი ეკუთვნოდა ქართველთა მონასტერს იერუსალიმში. როცა მონასტერს ბერძნები

დაეპატრონნენ, სოფელი მათ ხელში გადავიდა და ასე გრძელდებოდა სოფრომ მგალობლიშვილის მიერ მემუარების წერის დროსაც, მე-20 საუკუნის 10-იან წლებში.

სამონასტრო მამული უზარმაზარი იყო, ექვსი ათასი დღიური. აქ ერთადერთ აზნაურს, დეკანოზიშვილს, ჰყავდა ცოტა ყმა. სოფლის დანარჩენი აზნაურები უყმონი იყვნენ; მათ მცირე მამული ჰქონდათ. სამონასტრო მამულებს განაგებდა იერუსალიმიდან გამოგზავნილი ბერი, ხარისხით არქიმანდრიტი. მას მოურავად ჰყავდა ადგილობრივი გამჭრიახი გლეხი. მწერალი დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ ხდებოდა მოსავლის აღება და გადასახადების დაანგარიშება. დირბს სხვა ბატონიც არ აკლდა. რადგან სოფელს საკუთარი ტყე არ ჰქონდა, დირბელები იძულებულნი იყვნენ, სხვა მებატონის ტყით ესარგებლათ და მასაც მომსახურებოდნენ.

ყველაზე სასიამოვნო სამუშაო თვითონ გლეხისთვის იყო მკა. მწერალი ცოცხლად და ხატოვნად აღწერს მკის პროცესს.

მემუარისტი გვიამბობს, თუ როგორ შოულობდა გლეხი საჭირო ფულს. თვითონ გლეხები ვერ ახერხებდნენ თავიანთი ნაჭირნახულევის ქალაქში ჩატანასა და გაყიდვას, ჯერ ერთი, მოუცლელობის გამო და, მეორეც, უგზოობის გამო. ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ სოფლებს ესეოდნენ ჩარჩ-ვაჭრები, მეტწილად, ებრაელები და სოფლის სიმდიდრეს ძალიან იაფად იგდებდნენ ქალაქში ძვირად.

გლეხთა ეკონომიკურ ღონეს შეადგენდა კიდევ სხვადასხვა შინამრეწველობა-მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მაწვნის, ყველისა და ერბოს მომზადება. ამ უკანასკნელისათვის შემოღებული იყო ხანულობა. მემუარისტი საგანგებოდ განმარტავს „ხანულობის“ მნიშვნელობას. გლეხები, რომლებსაც მხოლოდ ერთი ძროხა ჰყავდათ, ერთმანეთთან დროგამოშვებით ეზიდებოდნენ რძეს, რომ ასე დაგროვებით ეწარმოებინათ რძის პროდუქტი. ასე რომ, თითქმის ყველა ხელმოკლე გლეხს სამყოფი ჰქონდა დომხალიც, ყველიც, რძეც. გაჭირვების დასაძლევად გავრცელებული იყო მოჯამაგირეობა. ძმებიდან ერთი, მეტწილად უცოლო და უმამულო, გადიოდა

მოჯამაგირედ მღვდელთან ან შეძლებულ გლეხთან. ერთობ ძნელი იყო მოჯამაგირის ხვედრი, რადგან მძიმე შრომა უწევდა. მას კაცად არ მიიჩნევდნენ. მწერალი იმარჯვებს ხალხურ ლექსს, მოჯამაგირის გაუსაძლისი ყოფის ამსახველს: „მოჯამაგირის საქმესა ადვილად იტყვის ენაო, დილით რომ ქალაქს გააგდონ, საღამოს გორისკენაო...“

სოფრომ მგალობლიშვილი ხალხური ლექსის ამ სიტყვებს საინტერესო შენიშვნას ურთავს: „ქალაქს დაბალი ხალხი, ძველადაც და ეხლაც ტფილისს ეძახის: სხვა ქალაქებს ქალაქებად არა სთვლიდა და ამიტომ სახელით იხსენიებდა. როცა ტფილისში მოდის გლეხი, თავის დღეში არ იტყვის, ტფილისს მივდივარო, არამედ იტყვის, ქალაქს მივდივარო“.

სოფრომ მგალობლიშვილმა მოგონებებში აღწერა ყმა გლეხის აუტანელი მდგომარეობა ავი მებატონის ხელში. მემუარისტის მიერ გადმოცემული ყმის მდგომარეობა პირდაპირ მიჰყვება სხვა მწერალთაგან მონათხრობს. ყმა გლეხს ეპყრობიან ნივთივით, ძარცვავენ სულიან-ხორციანად, ყიდიან, ცვლიან ძაღლში ან ცხენში. ბატონი გამოესარჩლებოდა თავის ყმას, თუკი მას სხვა ვინმე მიაყენებდა შეურაცხყოფას. ამ დროს მებატონე, პირველ რიგში, საკუთარ ღირსებას იცავდა. მემუარისტი აღწერს, თუ როგორ აცემინა დიდმა თავადმა, გიორგი ერისთავმა, დიამბეგი, რომელიც მის ყმას უსამართლოდ მოეპყრო. მებატონეთა შორის გამონაკლისებიც იყვნენ, მაგალითად, დავით დიასამიძე. მემუარისტის თქმით, იგი „წარმოადგენდა ერთადერთს თეთრს ზოლს ძველის ცხოვრების შავბნელ ფარდაზე“. იგი 40-50-იან წლებში ცხოვრობდა და გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი იყო. დ. დიასამიძე ქართლში პირველი იყო, რომელმაც აბრეშუმის ჭია მოაშენა. ყველა მისი ყმა ვალდებული იყო, ეთესა თამბაქო და ენდრო. მემამულის სოფელში, საქაშეთში, სხვადასხვა ხელოსანი ცხოვრობდა. იქ იქსოვებოდა ხალიჩები, ფარდაგები, ჯეჯიმები... მზადდებოდა ფარჩეულობა. მემამულის სახლეულობაც არ თაკილობდა ფიზიკურ შრომას. სოფრომ მგალობლიშვილის გადმოცემით, დიასამიძის ქალიშვილი, ნინო, ხალიჩების შესანიშნავი მქსოველი იყო.

მწერლის თქმით, დ. დიასამიძის შემდეგ ქართლში ერთი კაციც არ გამოჩენილა, რომელიც მის გზას გააგრძელებდა. მოისპო ენდროსა და თამბაქოს თესვა. ცრუმორწმუნეობის გამო მეფუტკრეობასა და მეაბრეშუმეობასაც თავი დაანებეს.

სოფრომ მგალობლიშვილის გადმოცეით, გლეხი უდრტვინველად ეწეოდა უღელს, მხოლოდ მაშინ თუ ამოანთხევდა დაგუბებულ ვარამს, როდესაც მის სულს მძლავრად შეარყევდნენ: გაყიდიდნენ ან ოჯახის ასულის ნამუსს შეურაცხყოფდნენ. ეს უკანასკნელი მოვლენა ხშირად ბატონის სიკვდილით მთავრდებოდა. ბატონყმობის დრო სავსეა ამგვარი ამბებით.

სოფრომ მგალობლიშვილი მემუარებში საგანგებოდ წერს იმის შესახებ, თუ რა უბედურება მოუტანა ქართლის მოსახლეობას ლეკიანობამ და არა მხოლოდ მე-17-18 საუკუნეებში, არამედ მე-19 საუკუნეშიც. „ქართლ-კახეთში და თითქმის იმერეთშიაც“ ლეკები დას-დასად თარეშობდნენ. ისინი ანაზდეულად გამოჩნდებოდნენ ქართლის სოფლებში, ვისაც კი ხელში ჩაიგდებდნენ, ტყვედ მიჰყავდათ, რასაც კი მოიხელთებდნენ, თან მიჰქონდათ. ტყვედ უფრო ქალები მიჰყავდათ, იმათში მეტ გამოსასყიდს იღებდნენ. ზოგჯერ ლეკებიც უვარდებოდათ ტყვედ ქართველებს, „რამდენიმე ნალეკარი ოჯახია ქართლში“.

ხალხი მუდამ ფხიზლად იყო. თითქმის ყველა სოფელს პატარა შეიარაღებული რაზმი ჰყავდა. გაჭირვების დროს ქუდზე კაცი გამოდიოდა, მაგრამ ცხენოსანი ლეკები თავს სწრაფად შველოდნენ. ტყვეების დახსნა იოლი არ იყო. მოვიდოდა მთხრობელი, ტყვე ამ ადგილას ჰყავდათ და, თუ ამდენ თუმანს მიიტანთ, დაგიბრუნებენო. ვისაც შეძლება ჰქონდა, იხსნიდენ; ზოგი რჩებოდა“.

სოფრომ მგალობლიშვილის თქმით, ლეკთა თარეშზე მძიმე გამოდგა ოსების შემოსევა. მემუარისტი დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ მოხვდნენ ოსები ქართლში. თავდაპირველად ისინი მაჩაბლებისა და ერისთავების ყმები იყვნენ. შემდეგ და შემდეგ,

როცა გამრავლდნენ, სხვადასხვა თავადთა და აზნაურთა მამულებში გაიხიზნენ და მოედვნენ თითქმის მთელს ქართლის მთა-ტყეებსა, ბარად იშვიათად ცხოვრობდნენ...

დროთა განმავლობაში ოსები დაიძვრნენ მთებიდან და ხეობებიდან და ჩამოესახლნენ ქართლის განაპირა სოფლებთან. მთელი კალთები დიდს მთებისა ჩრდილოეთის მხრივ იმათ დაიჭირეს...წრესავით შემოერტყნენ გორისა და დუშეთის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილსა. თითქოს მემუარისტი იმ ისტორიის დასაწყისს გვაცნობს, რომელსაც შემდეგ ხევისთავთა, ერისთავთა თუ მაჩაბელთა ჯაყოს ხიზნობა მოჰყვა, ხოლო ბოლოს შუაზე გაგლეჯილი ქართლი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი მივიღეთ. მწერალი აშკარად მიგვანიშნებს, რომ ჩვენი გოროზი, გაზულუქებული მებატონეების დიდი წვლილიცაა ამ უბედურებაში.

მემუარისტი ყურადღებას ამახვილებს ოსთა კერპთაყვანისმცემლობაზეც. მათი კერპი იყო თხა, რომლის თავი დიდი რქებით იყო დასვენებული უზარმაზარი ცაცხვის ან მუხის ხეზე. იქ თავს იყრიდა ხალხი, ლოცულობდა, თაყვანს სცემდა თავის ღმერთს. „დიდი ჯაფა დასჭირდათ ქართველს მღვდლებს, რომლებიც მაშინ მისიონერობდნენ, რომ მოესპოთ კერპთთაყვანისცემა და გაევრცელებინათ ქრისტიანობა“.

ოსების დიდი ნაწილი ქურდობა-ავაზაკობით ცხოვრობდა. სახელი მას ჰქონდა გავარდნილი და ვაჟკაციც ის იყო, ვინც ამ საქმეში კარგად იყო დახელოვნებული. ოსებს აკლებული ჰქონდათ ქართული სოფლები. მათგან ძილი და მოსვენება არ იყო. ლეკებისგან განსხვავებით, მათ ტყვეები არ მიჰყავდათ. „ვისაც მოასწრებდნენ, დედიშობილს გახდიდნენ, წაასხავდნენ პირუტყვს საქონელსა, თუ გაუძალიანდებოდა ვინმე, სიცოცხლეს ასალმებდნენ“.

ოსები მომეტებულად გუნდ-გუნდად დაძრწოდნენ, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ცალკე ან ორ-სამ კაცთან ერთად ყაჩაღობდნენ. მაგალითად, კანი და ბისტი.

ხალხი საკუთარი ძალით იგერიებდა ტერს: ბევრს ხოცავდა, იჭერდა, მაგრამ ახალ-ახალი ბრბოები ჩნდებოდნენ. უიარაღო ხალხთან თამამი და ვაჟკაცი ოსი ავაზაკები, როგორც კი იარაღიან მდევარს შენიშნავდნენ, გარბოდნენ და ტყეში, ჩირგვებში,

იმალებოდნენ. სოფლელებმა ამისი წამალიც იპოვეს: მტერს დაგეშილი ძაღლებით აგნებდნენ, იარაღს აყრევინებდნენ და თხებივით იჭერდნენ. ამ გაჭირვებაში სოფელს პატრონი გამოუჩნდა დირბში მცხოვრები ახალგაზრდა კაცი, გამოჩენილი მონადირე და მსროლელი ტარას მგალობლიშვილი და მასთან შეზრდილი შიო ტეფნაძე. მათ შექმნეს პატარა რაზმი, რომელმაც ოსთა თარეში ალაგმა.

ყირიმის ომი(**1853**-**1856**)-**რუსეთ-თურქეთის ომი**, რომელიც რუსეთის დამარცხებით დამთავრდა. 1856 წელს პარიზში დადებული ზავის მიხედვით, რუსეთს წაერთვა ბესარაბიის ნაწილი, ასევე, აეკრძალა შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლა და სიმაგრეების გაკეთება.

ჯარისკაცებმა დიდი უბედურება მოუტანეს ქართულ სოფელს; იტაცებდნენ ყველაფერს, ცხადლივ, დღისით, თვით უფროსებიც ვერაფერს აწყობდნენ მათთან, არც გაროზგვა შველოდათ. ყველაზე დიდი საფრთხე კი სოფლის ახალგაზრდა ქალებს დაემუქრათ პირუტყვი „სალდათებისგან“. სოფლელები იძულებულნი იყვნენ, ნამუსის დასაცავად ქალიშვილები სხვაგან გაეხიზნათ ან სახლებში ჩაეკეტათ. სოფელი გატყავდა ქურდობისაგან და გაიხრწნა ზნეობრივად. მას შემდეგ ხალხი დიდი ხანი მოუნდა ჭკუაზე მოსვლას.

ქართული სოფლის დახასიათებაში ბევრი რამაა ნიშანდობლივი და ზოგიერთი რამ შეიძლება სადღეისოდაც ძალზე აქტუალური ჩანდეს. მემუარისტი ამბობს: „ამჟამად რომ უპატრონოა სოფელი, ამას ყველა ჩვენგანი გრძნობს, მუდამ იმას ვჩივით და ვსტირით, რომ მივხედოთ სოფელსა, სოფელი იყვლიფება, მამულ-დედული ეცვლება ჩვენს გლეხს ხელიდან და ფეხქვეშიდან; ვჩივით, ინტელიგენცია გაურბის სოფელსაო“. ეს სიტყვები იწერება ერთი საუკუნის წინ, 1910 წელს.

როგორც ვხედავთ, უკეთესობისაკენ არაფერი შეცვლილა, თუ არ დავუმატებთ, რომ სოფელი თანდათან იცვლება და ცარიელდება, ბევრი ჩვენი სოფელი უკვე გაუკაცურდა. როგორც მწერალი შენიშნავს, არათუ საუკუნე-ნახევრის შემდეგ, არამედ თვით მის

სიცოცხლეში იცვალა სახე ქართულმა სოფელმა და ქალაქმაც. ამდენად, ფასდაუდებელია ჩვენი მწერლების და, კერძოდ, სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებები, რომ გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე, მის გარემოზე მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

სოფრომ მგალობლიშვილმა ერთგვარი სიმპათია გამოხატა სწავლა-აღზრდის ძველი სისტემის მიმართ. მღვდლის ოჯახში გაზრდილი მწერალი ჩინებულად იცნობდა საშინაო განათლების შინაარსს, რომელიც საინტერესოდ გადმოგვცა თავის მოგონებებში.

როგორც უკვე ითქვა, სოფელში სწავლა-განათლებას მღვდელი უძღვებოდა. იგი შემოიკრებდა თავად-აზნაურთა შვილებს და იწყებდა მათ წვრთნას. ქალებს მღვდლის ცოლი, ფოფოდია, ამეცადინებდა. მხედრული ანბანი პ. იოსელიანის გრამატიკით ისწავლებოდა, ხოლო ხუცური- „დავითნით“. ასოები, როგორც წესი, ბეჭზე ან ქაღალდის ნაფხრეწზე გამოჰყავდათ: „რამდენიმე ასოს დასწერდა მღვდელი ბეჭზე, როგორც მხედრულს, ისე ხუცურსა და რის ვაი-ვაგლახით შეასწავლებდა, თან აწერინებდა თვითეულ შეგირდს ბეჭზევე, რომელიც ყველა ბავშვს ჰქონდა“.

სწავლა აღზრდა ძველად ძალდაუტანებელი იყო. ტახტზე მოკალათებული შეგირდები მორიგეობით მეცადინეობდნენ. სწავლების დროს იდგა ერთი გნიასი, ყველა თავისთვის სწავლობდა, ხმამაღლა ამბობდა ასოების სახელებსა... ოსტატს ისე გამახვილებული ჰქონდა ყურთა სმენა, რომ ხმით ყველას იცნობდა... მწერალი ისე ცხადად გვიხატავს ანბანის სწავლას, რომ ჩვენც ამ პროცესის თანამონაწილენი ვხდებით. თითქოს ყურში ჩაგვესმის სიტყვები: „ანუ“, „ბანუ“, „განუ“... ქალებისა და ვაჟების სწავლების წესი ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდებოდა. გოგონებს დამატებით ხელსაქმესაც ასწავლიდნენ: ჭრა-კერვას, ქსოვასა და ქარგვას. მეცადინეობის შემდეგ ისინი დაირაზე უკრავდნენ, ლეკურსა და სამაიას ცეკვავდნენ, „ძერა-ძერაობას“ თამაშობდნენ. ვაჟები კი ჭიდაობდნენ და ბურთაობდნენ. ოსტატი ბავშვებს თვალს ადევნებდა, თვითონაც ერეოდა საერთო მხიარულებაში, მხდალებს აქეზებდა, გაბედულებს აქებდა. როცა თამაშით

გულს იჯერებდნენ, მოსწავლეები თავიანთი სურვილით დაიშლებოდნენ. მასწავლებელი არასგზით არ ეტყოდა მათ, თამაშს მორჩითო.

სოფრომ მგალობლიშვილის შეფასებით, ახალ და ძველ მოსწავლეს შორის დიდი განსხვავებაა: „ეხლანდელი მოსწავლე ავტომატია, ყმაა გამეფებულის ოფიციალობისა, მისი მე ჩაკლულია," მისი ბედი და უბედობა ქულებზეა დამოკიდებული, ქულები კი-მასწავლებლის კეთილგანწყობაზე. შეგირდს ბავშვური ცელქობის უფლებაც არა აქვს-დიდ ცოდვად, დანაშაულად ეთვლება. ძველი მოსწავლე კი ლაღი და ბუნებრივი იყო, მას თვითგამოხატვის მეტი საშუალება ჰქონდა.

უფრო ადრე ა. წერეთელმა გამოხატა თავისი შეხედულება ბავშვის თავისუფლად გაზრდის შესახებ. „აბა, წარმოიდგინეთ ერთი მხრით თავისუფალი, შველივით მონავარდე, სოფლელი ბავშვი და მეორე მხრით „დაჩანჩურებული" ქალაქელი ყმაწვილი!..- ამბობს იგი „ჩემს თავგადასავალში", გამოსუდრულა ტანსაცმელში, საძრაობა აღარ აქვს, ეუბნებიან: ჭკვიანად იყავი, რაც ჩვენ გირჩიოთ, მხოლოდ ის იკისრე შენცო!.. იმ საბრალოს ერთი გადაკოტრიალება ქვეყანას ურჩევნია, მაგრამ განა გაბედავს, რომ ტანისამოსი დასვაროს?.. იზრდება ბრძანებით მომავალი ჭლექი და მუმია".

მოსწავლეებისათვის ნამდვილი შვება იყო ზაფხულის არდადეგები. მემუარისტი ნამდვილი მწერლური ოსტატობით აღწერს სოფელში გატარებულ დაუვიწყარ დღეებს: ეს პერიოდი, ცხოვრების, ბუნების დიდი წიგნი საუკეთესო სახელმძღვანელო იყო: მასში ვკითხულობდი ბუნების სიმშვენიერეს, გლეხების გაჭირვებულ ცხოვრებასა, მის ჭირს და ვარამს, მის ლხინსა, სულის მისწრაფებას, იქიდან მესმოდა ფრინველთა და ადამიანთა გულსაკლავი სიმღერა-გალობანი, ვეწაფებოდი ხალხის ნაწარმოებსა- ლექსებსა, ზღაპრებს, მის გამოთქმულ ნაკვესებსა.

სოფრომ მგალობლიშვილი მე-19 საუკუნის სამოცდაათიან წლებს ქართული ლიტერატურის აღორძინების ხანად მიიჩნევს. ამ დროს დაარსდა ქართული ჟურნალ-გაზეთები, რომლებთანაც აქტიურად თანამშრომლობდნენ ჩვენი მწერლები და

ლიტერატორები. სემინარიელებიც ენთუზიაზმით ჩაებნენ ლიტერატურულ საქმიანობაში. ისინი მეტწილად თავს იყრიდნენ „დროებისა“ და „მნათობის“ გარშემო. ახალგაზრდები თავდაპირველად მხოლოდ დაბეჭდვა - აწყობასა და კორექტურაში მონაწილეობდნენ, მოგვიანებით კი სალიტერატურო ასპარეზზეც გამოვიდნენ. სწორედ „მნათობის“ საშუალებით გაიცნო ლიტერატურულმა საზოგადოებამ ნიჭიერი სემინარიელი ნ. ლომოური- „ჩვენი სახელოვანი ბელეტრისტი“.

სოფრომ მგალობლიშვილი აღტაცებას ვერ ფარავს, გამოწვეულს მამია გურიელთან შეხვედრით. მაშინ მამია თბილისში ცხოვრობდა. მემუარისტი გვიხატავს პოეტის საინტერესო გარეგნულ პორტრეტს- „ლამაზი სახის, ცქვიტი, შავ-წვერ ულვაშით შემკული, თავიდან ფეხებამდე შავ ტანისამოსში გამოწყობილი, თავზე გარიბალდის ქუდით“. მან ლექსი მოიტანა „მნათობის“ რედაქციაში- „მზისადმი“. რედაქტორმა წაკითხვა სთხოვა. მამიამ ზეპირად წარმოთქვა ლექსი. სოფრომ მგალობლიშვილიც ადასტურებს სხვათა შთაბეჭდილებას, მ. გურიელის წაკითხულით მიღებულს. ჟურუანტელმა ამიტაცაო,- ჰყვება სოფრომ მგალობლიშვილი, - თმა ყალყზე დამიდგა, უეჭველია, სხვებიც ჩემს მდგომარეობაში იქნებოდნენ. ახლაც ყურებში ჩამესმის მისი ლექსის სტროფები. კითხვა რომ დაამთავრა, ცოტა ხანს დუმილი ჩამოვარდა, თითქოს გონს ვერ მოვედით, ისე გაგვიტაცა მისმა მშვენიერმა კითხვამ...რა თქმა უნდა ლექსი დაიბეჭდა.

მემუარისტი განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსად მიიჩნევს ნიკო ნიკოლაძის ღვაწლს, რომელმაც „სულ ახალი მიმართულება შექმნა ლიტერატურაში და ცხოვრებაში“. იგი იყო ჟურნალ „კრებულის“ უმთავრესი თანამშრომელი, სულის ჩამდგმელი და მიმართულების მიმცემი. კრებულის გარშემო გაერთიანდა მთელი მწერლობა და მაშინდელი ინტელიგენცია. ჟურნალი „კრებული“ გამოდიოდა 1871-1873 წლებში. მისი რედაქტორი იყო გ.წერეთელი, ხოლო უმთავრესი თანამშრომელი - ნ. ნიკოლაძე.

70-იან წლებში „დროებისა“ და „კრებულის“ გარშემო გაერთიანებული ქართველი მოღვაწეების მიერ დაარსდა ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელმაც დიდი გავლენა იქონია ახალ თაობაზე. მემუარისტის თქმით, აქ ყველანაირი წიგნი იშოვებოდა რუსულ ენაზე“. მოწაფეები წყალმოწყურებულებივით დაეწაფნენ წიგნების კითხვას და შეუდგნენ თვითგანვითარებას. აქვე იკრიბებოდნენ ქართულ, სომხურ და რუსულ გამოცემათა მეთაურნი და თანამშრომელნი.

სოფრომ მგალობლიშვილი განსაკუთრებულად აღნიშნავს ამ საქმეში ქართველ ხალხოსანთა ერთ-ერთი ლიდერის, ეგნატე იოსელიანის, წვლილს. მან რუსეთში თავისი ხარჯით შეიძინა წიგნები და საქართველოში გამოგზავნა. სამწუხაროდ, მათ დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწიეს. მეორედ თვითონ ეგნატემ ჩამოიტანა რამდენიმე ყუთი და ქართველ მოღვაწეებს გადასცა. ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგედ დაინიშნა ვინმე ივანოვი, რის გამოც ამ საზოგადო ბიბლიოთეკას ივანოვის ბიბლიოთეკა ეწოდა. „ეგნატე იოსელიანმა იშრომა, სახელი კი სხვას დარჩა“- გულისტკივილით აღნიშნავს მწერალი.

ამავე დროიდან დაიწყო ქართული წიგნების ბეჭდვაც. ამ საქმეს შეუდგნენ ზ. ჭიჭინაძე და არ. კალანდაძე. ლიტერატურული ცხოვრების აღორძინებასთან ერთად განახლების გზას დაადგა ქართული თეატრიც. სოფრომ მგალობლიშვილი გვაცნობს თეატრში თავისი მოღვაწეობის მოკლე ისტორიას. თავიდან იგი მხოლოდ სუფლიორობით იყო დაკავებული, ამზადებდა რეკვიზიტს და ხანდახან რეჟისორობდა კიდეც. სუფლიორობისას ხშირად გლეხების როლებს გლეხურ კილოზე კარნახობდა; ჩააცივდნენ, რომ სცენაზეც წაეკითხა გლეხთა მონოლოგები. გლეხური სცენების შესრულებისას მას საკუთარი ტანსაცმელი ჰქონდა, რომელშიც თავს ბუნებრივად გრძნობდა და, სადაც წავიდოდა, თან დაჰქონდა. ერთხელ კინაღამ გააძევეს კულისებიდან, გლეხი ეგონათ, შენ აქ ვინ შემოგიშვაო. ასეთი იყო მე-19 საუკუნის 70-80-იან წლებში კულტურული ცხოვრება თბილისსა და გორში, რომელიც შესანიშნავად აისახა სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებებში.

ბატონყმობის გადავარდნა საქართველოში:

მემუარისტის თქმით, გლეხკაცობის ცხოვრება ბევრად გაუარესდა მე-18 საუკუნის ბოლოს, როცა დაქსაქსული ბატონიშვილები და თავად-აზნაურები ენით გამოუთქმელი აღვირახსნილობით მოქმედებდნენ. ხოლო რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ გლეხების მდგომარეობა კიდევ უფრო აუტანელი გახდა. ამას ზედ დაემატა ახალი სახელმწიფო გადასახადები, ბეგარები, ბაჟები და ათასი სულის შემხუთავი გარემოებანი.

აუტანელმა ტანჯვა-ვაებამ, სულისა და ხორცის შებორკვამ, ნამუსის ახდამ გააბოროტა ხალხი, იწყეს ბატონების ხოცვა. ასეთი ამბები ხშირი იყო და უფრო იმატა მაშინ, როცა თანდათან ვრცელდებოდა ხალხში ხმა, რომ ბატონყმობა უნდა გადავარდესო. მართალია, ბატონყმობის გაუქმებიდან 50 წელიწადი სრულდება, მაგრამ მთა და ბარი მაინც ვერ გასწორდა. განთავისუფლდა ადამიანის სული, მაგრამ ვერ გაუმჯობესდა მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. გლეხი მიწას არის მოკლებული და ამიტომ ერთობ დაქვეითებულია ეკონომიკურად.

ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში (1870-1880)

1924 წელს ჟურნალ „რევოლუციურ მატიანეში“ დაიბეჭდა სოფრომ მგალობლიშვილის ვრცელი ნაშრომი „სოციალ-რევოლუციონური (ხალხოსნური) მოძრაობა საქართველოში. მწერალს მიზნად აქვს დასახული, ფარდა ახადოს 70-იანი წლების „წყვდიადს ღამეებს“ და დაანახოს საზოგადოებას ის ბრწყინვალე ვარსკვლავები, რომელნიც ამ წყვდიადს ნათელს ჰფენდნენ, რომელთა ვინაობა დღევანდელმა ქართველმა არ იცის.

თავდაპირველად მემუარისტი მსჯელობს ქართული ხალხოსნობის მიმართებაზე რუსულ ხალხოსნობასთან. მას მიაჩნია, რომ ქართული ხალხოსნობა პირდაპირი გამოძახილი იყო რუსულისა. გლეხობის გაჭირვება და მისი დახმარების სურვილი „ნაროდნიკებში“ რევოლუციურ სულისკვეთებას აღვივებდა. აქცენტი კეთდებოდა გლეხების უმიწოდ განთავისუფლებაზე. ალექსანდრე მეორემ არ უღალატა მამის ანდერძს, რომ

ბატონყმობის გაუქმება შინაარსობრივად ბევრს არაფერს შეცვლიდა. რევოლუციონერ-დემოკრატებმა მოითხოვეს, რომ მიწა, რომელზეც გლეხები ცხოვრობდნენ, მათ საკუთრებაში გადასულიყო.

ხალხოსნებმა წამოიწყეს აგიტაცია იმ მიზნით, რომ ხალხს შეეგნო, თუ როგორ უსინდისოდ მოატყუეს იგი, როგორ გაძარცვეს და დატოვეს ისევ და ისევ დამოკიდებულები ძველ მებატონეებზე. მაგრამ, მწერლის აღიარებით, ხალხოსნური მოძრაობა, რუსული „ნაროდნიკობა“, თავდაპირველად ინტელიგენციამ და სტუდენტობამ გაიზიარა. ხალხი მათ არ იკარებდა, განსაკუთრებით გლეხობა... როგორც კედელს ცერცვი, ისე ხვდებოდა ხალხს მათი სიტყვა.

გლეხები ადასტურებდნენ ბატონების, ბოქაულების, დიამბეგების, მეფის მოხელეების თავგასულობას, მაგრამ, როცა საქმე მოქმედებაზე, რაიმე ნაბიჯის გადადგმაზე მიდგებოდა, უკან იხევდნენ.

მართლაც, როგორც თანამედროვე ისტორიკოსები აღნიშნავენ, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ქართველი ხალხოსნების მსოფლმხედველობასა და პრაქტიკულ საქმიანობაში. ბევრმა მიატოვა უტოპიური ოცნება, ზეცაში ფრენა, რეალურ ნიადაგზე დაეშვა. დიდი ადგილი დაუთმეს საგანმანათლებლო საქმიანობას, მეტი ყურადღება მიაქციეს ეროვნულ საკითხს.

მოგონებები ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებზე.

ილია ჭავჭავაძე

ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც სოფრომ მგალობლიშვილის ის მოგონებებია ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებზე, რომელთაც დიდი თუ მცირე წვლილი მიუძღვით ქართული მწერლობის, საზოგადოდ, ქართული კულტურის განვითარებასა და წინსვლაში.

ილია ჭავჭავაძის მძლავრი ფიგურა ყოველთვის იყო სოფრომ მგალობლიშვილის საგანგებო დახასიათების ობიექტი.

პირველად ილია ჭავჭავაძე სოფრომ მგალობლიშვილს უნახავს საგურამოში 1875 თუ 1876 წელს, სადაც სააღდგომოდ ყოფილა ნათესავ მღვდელთან სტუმრად. ილია თურმე ჯერ მოშორებით, ხის ქვეშ, „ბუნების ხავერდზე“, წოლილა, პაპიროსს ეწეოდა, რაღაცაზე ჩაფიქრებული. ხოლო, როცა ეკლესიაში გაისმა „ქრისტე აღსდგა!“, მანაც სხვებთან ერთად საყდარს მიაშურა. ბადრს სახეს უმშვენებდა შავი წვერი და შუაზე გაყოფილი და კისერზე ჩაშვებული შავი და გრძელი თმა“. სოფრომ მგალობლიშვილი ილიას პირადად გაეცნო 1877 წლის შემოდგომაზე, როცა „ივერიის“ თანამშრომელი გახდა. მეგობარმა ი. ბაქრაძემ, იხმო ს. მგალობლიშვილი თბილისში და ილიას სურვილითვე წარუდგინა მას. აღელვებული სოფრომი დაამშვიდა დიდი მოღვაწის მეტყველმა სახემ, მისმა უშუალობამ. სოფრომზე, დიდ ზემოქმედებას ახდენდა ი. ჭავჭავაძის წყლიანი, მოსწრებული ლაპარაკი, მისი სამაგალითო ბაასი ამა თუ იმ საჭირბოროტო საგანზე. მემუარისტის აზრით, ყველაფერში ბუმბერაზი იყო: ლაპარაკში, მსჯელობაში, მუშაობაში, თუნდაც ძილში და მადიანს ჭამა-სმაში.

ნიშანდობლივია, როცა ს. მგალობლიშვილმა თბილისში გადმოსვლა მოინდომა სამუშაოდ, „ილიამ საშინელი უარი სტკიცა: ქალაქის ცხოვრება ჩაგითრევს, მწერლობას თავს დაანებებო. ახლა კაცებია საჭირო პროვინციაში, დაბრუნდი, ცოტა სასყიდელს მოგცემთ სტრიქონობითა და იოლად წადიო“.

მოგონებები ი. ჭავჭავაძეზე გამორჩეულია სოფრომ მგალობლიშვილის მემუარებში. ისინი იძლევა დიდი მწერლისა და მოქალაქის შთამბეჭდავ მონუმენტურ სახეს.

იაკობ გოგებაშვილი

მემუარისტი იაკობ გოგებაშვილს წარმოგვიდგენს, როგორც 60-იანი წლების ერთ-ერთ უპირველეს მოღვაწეს. ის ფხიზელი, სწრაფი მოლაპარაკე, ცქვიტი, პირუთვნელი და მტყუანის კარებამდე მიმყოლი კაცი იყო. ი. გოგებაშვილის უდიდეს დამსახურებად

მემუარისტს ის მიაჩნია, რომ მან სასულიერო სემინარიაში აკრძალა როზგი და ყველანაირი ცემა-ტყეპა მოსწავლეებისა. ამის გამო მას დიდი დაპირისპირება შეხვდა. იაკობი სიტყვით იყო მკაცრი. იგი ნამდვილი დარაჯი იყო ქართული ახლად დაწყებული საქმისა. იგი ფიცხი კაცი იყო. თუ რედაქცია დროზე არ დაუბეჭდავდა წერილს, შემოსწყრებოდა და, რომც შეხვეწნოდნენ, აღარაფერს მიაწოდებდა. ზოგი ფიქრობდა, რომ იაკობი გოროზი კაცი იყო. ამას ისინი ამბობდნენ, ვინც მას კარგად არ იცნობდა. სეირნობის დროს დიდმა პედაგოგმა თავაღერებული სიარული იცოდა და ამაყი შეხედულება ჰქონდა. ეგებ ამან განუმტკიცა ზოგს წარმოდგენა მისი გოროზობის შესახებ. სინამდვილეში, იაკობი უბრალო კაცი იყო, უყვარდა სუფრაზე შექცევა და ლხინი.

მემუარისტი საგანგებოდ საუბრობს ი. გოგებაშვილზე, როგორც დიდ ქველმოქმედზე. იაკობზე ზოგი ამბობდა, ნათესავების მიმართ გულცივიაო, რაც ს. მგალობლიშვილის აზრით, სრულიადაც არ შეესაბამება სიმართლეს; პირიქით, მან ძმისშვილ-დისშვილები დაზარდა სასწავლებელში თავისი ხარჯით, ძმისა და დის სიძეებსაც არ ივიწყებდა, რაც მთავარია, ეხმარებოდა გაჭირვებულ ქართველ სტუდენტებს.

ი. გოგებაშვილი გამოესარჩლა და დახმარების ხელი გაუწოდა გასაჭირში მყოფ ს. მგალობლიშვილს 1910 წელს, როდესაც იგი სამსახურის გარეშე დარჩა: გაუჩინა კერძო საქმეები, აძლია თავისი სახელმძღვანელოები კორექტურისათვის, ასევე, შესთავაზა სახალხო კალენდრის შედგენა და ხელმძღვანელობაც აღუთქვა.

ი. გოგებაშვილი უცოლშვილოდ, უოჯახოდ გადაეგო და მთელი თავისი ქონება ქართულ საზოგადოებას დაუტოვა.

ვაჟა-ფშაველა

გასაგები მიზეზების გამო, ძალზე საინტერესოა ჩვენთვის ის მოგონებები, რომლებიც სოფრომ მგალობლიშვილმა ვაჟას შესახებ დაწერა: საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ჭაბუკი ვაჟა, გორში ჩამოსული, მოექცა გამორჩეული პედაგოგის ყურადღების ქვეშ. შემდეგ მათი ურთიერთობა თანდათან მეგობრობაში გადაიზარდა, ბოლოს კი მოწაფემ

მასწავლებელზე, როგორც მწერალმა პროზაიკოსმა, ისეთი ზემოქმედება მოახდინა, რომ მისი გავლენით მოთხრობა დაწერა, რასაც აკაკის მოწონება და წაქეზებაც მოჰყვა. სოფრომ მგალობლიშვილს ვაჟაზე დაწერილი აქვს ორი მოგონება; პირველი ვაჟას გარდაცვალების დღეებში დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო ფურცელში“ –„ვაჟა-ფშაველას საღამოს გამო“, ხოლო მეორე მოგვიანებით გამოქვეყნდა 1922 წელს გაზეთ „ბახტრიონში“.

ვაჟა-ფშაველა გორის საოსტატო სემინარიაში ჩაირიცხა 879 წელს. ამ დროიდან არ მოკლებია მას ს. მგალობლიშვილის ყურადღება და მხარდაჭერა. 80-იანი წლებისთვის გორში უკვე იყო თავმოყრილი საინტერესო ინტელიგენცია. წიგნები მოიპოვებოდა როგორც მათე კერესელიძის, ასევე ს. მგალობლიშვილის ოჯახში. მოსწავლეები უახლოვდებოდნენ მასწავლებლებს, მათგან მიჰქონდათ წიგნები წასაკითხად. ს. მგალობლიშვილს არც ის რჩება მხედველობიდან, რომ გორში ამ დროს ქართული ენის კარგი მასწავლებლები აღმოჩნდნენ: არისტო ქუთათელაძე, ხოლო შემდეგ მიხეილ ყიფიანი, დიდად განათლებული კაცი, ხალხოსანი მოღვაწე.

ს. მგალობლიშვილის მოგონებები იმ მხრივაც არის ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ მწერალი და გულისხმიერი მასწავლებელი იმთავითვე თვალს ადევნებდა ვაჟას ხასიათის ფორმირებას, მასში პოეტური ნიჭის გამომჟღავნება-განვითარებას. ს. მგალობლიშვილს სწორად ახსოვს, რომ ვაჟამ ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლისას დაიწყო ლექსების წერა, მაგრამ მაშინდელი მისი ლექსი დაბალი ხარისხისა იყო, მხოლოდ რიფმების შეკოჭვა იყო და იბეჭდებოდა ჟურნალ „იმედში“. მემუარისტი გულისხმობს ლექსებს, რომლებიც დაწერილია 1877-1883 წლებში და ზოგი მათგანი, კერძოდ, „ყარსის ბოლოს“, „დროება“, „მეომარი“, „როდის იქნება“, „ჯერ არ მომკვდარა მორწმუნე გული!“ დაიბეჭდა ჟურნალ „იმედში“.

როგორც აღნიშნავენ, პირველი ლექსი, რომელშიც ვაჟამ თავისი პოეზიის შესაფერი ფორმა იპოვა და დიდი შემოქმედებითი მწვერვალებისაკენ მიმავალ გზას დაადგა, არის „ამირანი“.

ს. მგალობლიშვილის თქმითაც, ვაჟა-ფშაველამ შექმნა „ახალი დარგი პოეზიისა“. პირველ ხანებში მის კილოს ვერ შეეგუა მკითხველი საზოგადოება, მაგრამ ძალიან მალე ვაჟა სათაყვანებელი გახდა. მის კილოს უკვე იცნობდა საზოგადოება რაფიელ ერისთავისა და ბაჩანასაგან... ვაჟამდე ფშაველის ახალს კილოზე ბაჩანამ იწყო წერა. ვაჟამ სავსებით განაცხადა, რომ მასზე რაფიელ ერისთავმა მოახდინა გავლენა, რომ იგი მანამდეც იცნობდა უამრავ ლექსს ფშაურ დიალექტზე ნაწერს, ძალიან მოსწონდა, მაგრამ ჯერ ვერ ბედავდა ამ კილოთი წერას, რადგან მწერლობაში ლექსების წერის კილოდ არ იყო მიღებული, არამედ სხვა კილო მეფობდა. ჯერ დღესაც სჭირს ამ ფშაურს კილოზე ნაწერის ლექსების საზოგადოებისაგან ყურის დაგდება და მაშინ ხომ უფრო საძნელო იქნებოდა.

ს. მგალობლიშვილის გულწრფელი აღიარებით, ვაჟამ ყველას გაასწრო, ბედაური და დალოცვილი ჯიშის იყო.

ანტონ ფურცელაძე

ანტონ ფურცელაძეს მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ის იყო ი.ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ.ნიკოლაძის და თერგდალეულთა თაობის სხვა ცნობილი წარმომადგენლების თანამედროვე. თერგდალეულთა მსგავსად, ა.ფურცელაძეც მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწეა: წერდა ლექსებს, მოთხრობებს, დრამებს, ეწეოდა მთარგმნელობითს საქმიანობას. ფურცელაძეთა გვარის წარმომადგენლები ღარიბი

აზნაურები ყოფილან. ა. ფურცელაძის აღზრდას ხელმძღვანელობდა დედა, რომელმაც მომავალ მწერალს წერა-კითხვა შეასწავლა. ხელმოკლეობის გამო მშობლებმა ვერ შეძლეს ანტონის სამოქალაქო სასწავლებელში მიბარება. მათ მხოლოდ ის მოახერხეს, რომ 11 წლის ბავშვი ქ. ორიოლის კადეტთა კორპუსში მიეღებინებინათ სახელმწიფო ხარჯზე. აქ მან 3 წელი დარჩა. 1854წელს ის ვარჯიშის დროს ორძელიდან ჩამოვარდა და სამუდამოდ დაკოჭლდა. ამის გამო, სამხედრო სამსახურისთვის გამოუსადეგარი, იძულებული გახდა დაეტოვებინა სასწავლებელი და დაბრუნებულიყო სამშობლოში.

მიუხედავად იმისა, რომ ა. ფურცელაძემ რუსეთში მხოლოდ რამდენიმე წელი დაჰყო ამ პერიოდმა მაინც გარკვეული კვალი დააჩნია მის ინტელექტუალურ ცხოვრებას. მან კარგად შეისწავლა რუსული ენა და 60-იან წლებში მთელი რიგი სტატიები გამოაქვეყნა რუსულ ენაზე.

მალევე ა. ფურცელაძე გახდა ჟურნალ „ცისკარის“ არაოფიციალური ხელმძღვანელი. მან დიდი მუშაობა ჩაატარა, დაითხოვა ძველი კალმოსნები და მათ მაგიერ შემოიკრიბა ახალი თანამშრომლები.

ა. ფურცელაძე ქადაგებს განათლების საჭიროებას, მოითხოვს თავისუფლებას, ცხოვრების ევროპული ფორმების შემოღებას.

ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე დიდ უბედურებად ა. ფურცელაძეს ბატონყმობა მიაჩნია. მებატონეები განუკითხავად პარპაშობენ სოფლად, გლეხებს უკანასკნელ გროშებს სტაცებენ, ულუკმაპუროდ სტოვებენ, უმოწყალოდ სჯიან. (გ.ასათიანი, გ.აბზიანიძე, ალ. კალანდაძე, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი-1974. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტომი-4. გვ278.)

60-იანი წლებში, ა. ფურცელაძე განსაკუთრებით დაინტერესებულია სოციალური პრობლემებით. 1865 წელს ის წერს საკმაოდ მოზრდილ მოთხრობას „მართა“, რომელშიც დამაჯერებლადაა ასახული გლეხების აუტანელი და მძიმე ყოფა მებატონეთა ხელში. ა. ფურცელაძე „მართაში“ გვიჩვენებს, რომ მებატონე უფლებამოსილია ყმა

იყიდოს და გაყიდოს, გლეხს უფლება არ აქვს დამოუკიდებლად წარმართოს საკუთარი საქმე და შექმნას ოჯახი.

ა. ფურცელაძის აზრით, ბატონებისა და ყმების შერიგება შეუძლებელია, იარაღმა უნდა გადაწყვიტოს მათ შორის არსებული წინააღმდეგობა. ბატონყმობის მოსპობა, მნიშვნელოვანი საერთო-სახალხო საქმეა და მასში, ა. ფურცელაძის აზრით, მამაკაცებთან ერთად ქალებიც უნდა ღებულობდნენ მონაწილეობას.

70-იანი წლებისათვის ბატონყმობა, როგორც ინსტიტუტი, უკვე აღარ არსებობს, მაგრამ დამოკიდებულება ნაბატონარსა და გლეხს შორის დიდად არ შეცვლილა. კაპიტალიზმი უკვე შეჭრილია სოფელშიც. დაწყებულია გლეხთა დიფერენციაცია. ერთ მხარეზე არიან მემამულენი- შეძლებული გლეხები, ხოლო მეორე მხარეზე უმამულო- ღარიბი გლეხები.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ა. ფურცელაძე დაუღალავად იღვწოდა სამშობლო ქვეყნის კულტურულ- ეკონომიკური აღორძინებისათვის, აქეთკენ იყო მიმართულ მისი გულისყური, ეს იყო მისი უპირველესი საზრუნავი. 80-90-იან წლებში ა. ფურცელაძეს ახლო ურთიერთობა აქვს მუშა-ხელოსნებთან. მუშა-ხელოსნებიც დიდად აფასებდნენ მას. თვლიდნენ მას მათთვის ახლობელ ადამიანად და ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ მწერლად. მის თხზულებებზე აღიზარდა მრავალი მუშა.

მიტინგის გასამართავად ავჭალის ქუჩით მეტეხისკენ მიმავალმა მუშებმა სახლის აივანზე ა. ფურცელაძე შენიშნეს. იგი ძირს ვერ ჩამოდიოდა ავადმყოფობის გამო, მაგრამ თვითონ მუშები მივიდნენ მასთან და ოვაცია გაუმართეს. ა. ფურცელაძე აღფრთოვანებით მიესალმა 1905 წლის რევოლუციას. „ჩემს ცხოვრებაში ორ სანეტარო მომენტს მოვესწარი. ერთი იყო ბატონყმობის უღლიდან გლეხების განთავისუფლება, ხოლო მეორე 1905 წლის რევოლუციაო“. (გ.ასათიანი, გ.აბზიანიძე, ალ.კალანდაძე, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი-1974. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი-4. გვ.282.)

გრიგოლ ვოლსკი

სოფრომ მგალობლიშვილის მოგონება ეხება, პოეტსა და პუბლიცისტს, გამორჩეულ მოღვაწეს, თავდადებულ მამულიშვილს- გრიგოლ ვოლსკის.

მოგონება გრიგოლ ვოლსკიზე იმ მხრივაც არის ძალზე საყურადღებო, რომ მემუარისტი 80-იანი წლების ბათუმს, ბათუმისათვის, მისი გაქართულებისათვის ბრძოლას გვაცნობს, იმ მოვლენებს, რომლებშიც თავი იჩინა გრიგოლ ვოლსკის მებრძოლმა სულმა და მისმა უდიდესმა ღვაწლმა ჩვენი ქვეყნის წინაშე.

ს. მგალობლიშვილი ღრმა პატივისცემით განგვაწყობს იმ თავდადებულ ქართველთა მიმართ, რომელთა წყალობითაც მოხერხდა, რომ ბათუმი ქართული ქალაქი გამხდარიყო. 80-იანი წლებისათვის აქეთ მოილტვოდნენ ბერძნები, ოსმალები, სომხები. ყველას უნდოდა ამ ადგილების დაპყრობა.

ს. მგალობლიშვილის თქმით, დღევანდელ ბათუმს გრიგოლ ვოლსკის და მის თანამებრძოლებს უნდა ვუმადლოდეთ. ქართველობა აქ თავდაპირველად ძალიან შევიწროებული იყო, განსაკუთრებით- რუსებისა და სომხებისაგან. არ არსებობდა ადგილი, სადაც ქართველები შეკრებას შეძლებდნენ. ხანდახან ქართული წარმოდგენა თუ იქნებოდა, ან- წელიწადში ერთხელ წმიდა ნინოს დღეობის გადახდა. ქართველებმა ეკლესიის აშენება გადაწყვიტეს. ეპარქიულმა მთავრობამ ხელი მოუმართა და ქალაქმაც მისცა შუა ბათუმში ადგილი, ჩაიყარა საძირკველი. მაგრამ შავრაზმელ დამქაშებს არ ეძინათ, სურდათ, ეს ძვირფასი ადგილი წაერთმიათ ქართველებისათვის, მაგრამ მათ ცდას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

ბათუმელ ქართველებს წინ უფრო დიდი განსაცდელი ელოდათ, უფრო მნიშვნელოვანი მისიის აღსრულება. ეს იყო ქალაქის არჩევნები. ძნელი წარმოსადგენია, თუ რა შრომა დასჭირდათ ქართველებს; კერძოდ, გრ. ვოლსკის. როცა გრ. ვოლსკიმ სავსებით დაინახა ყოველივე უსამართლობა და უკუღმართობა, რაც გამეფებული იყო გარშემო, გადაწყვიტა ყოველი ღონე ეღონა, რომ ბათუმში ცხოვრების პირობები სხვაგვარ ნიადაგზე დაეყენებინა. ამისათვის საჭირო იყო ქალაქის თვითმმართველობის ხელში

ჩაგდება და საზოგადო ასპარეზზე გამოყვანა იმ პირებისა, რომელნიც მგლურ ხასიათს დაშორებული იყვნენ.

ამ გამარჯვებით ქართველებმა ძირი მოიმაგრეს და მას შემდეგ ისინი განაგებდნენ ქალაქს. ს. მგალობლიშვილს ეს, ძირითადად, გრ. ვოლსკის დამსახურებად მიაჩნია. იგი მემუარისტს წარმოუდგება, როგორც იშვიათი ენერგიის ადამიანი, პირდაპირი, მტერთან მბრძოლაში გულადი, მოურიდებელი, გამჭრიახი სიტყვისა, თავდადებული მამულიშვილი და უანგარო პატრიოტი.

ძირითადი დასკვნა

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ბატონყმობის დროს მთელი ერი იყოფოდა ორ სხვადასხვა ფენად: ბატონებად და ყმებად. ბატონებად როგორც მოგეხსენებათ, იწოდებოდნენ თავად ბატონები და თავადაზნაურნი, ხოლო „ყმებად“ იწოდებოდნენ გლეხები და სიდუხჭირის ზღვარზე მყოფი საზოგადოება.

მოგეხსენებათ, რომ თავადაზნაურნი თავიანთ საკუთრებად თვლიდნენ, რაც მათ ირგვლივ არსებობდა, როგორც ისტორია გადმოგვცემს მთელი მიწა-წყალი მათ მფლობელობაში იყო. რაც შეეხება გლეხებს, მათ არაფერი გააჩნდათ და ისინი დამონებულნი იყვნენ თავიანთ ბატონებზე. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავადაზნაურნი არა მხოლოდ მთელ მიწა-წყალს მიიჩნევდნენ თავიანთ საკუთრებად, არამედ გლეხებიც კი მათი საკუთრება იყო და მათზე მთელი რიგი უფლებები გააჩნდათ, კერძოდ შეეძლოდ მოეთხოვათ გლეხის შვილები მონებად და ისინიც უნდა

დათანხმებოდნენ. ასევე ისტორია იმასაც გადმოგვცემს, რომ ბატონებს მხოლოდ გლეხების მოკვლა ეკრძალებოდათ და თუ მაინც ასეთი რამ მოხდებოდა, ბატონებს არც თუ ისე დიდი პასუხისმგებლობა მოუწევდათ. როგორც იტყვიან მცირედით გვარდებოდა აღნიშნული პრობლემა.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ ეს ბატონყმობა დიდი დროის მანძილზე გრძელდებოდა , რომელიც გამოირჩეოდა თავისი მძიმე პირობებითა და სისასტიკით ჩვენი გლეხების მიმართ, მანამ სანამ არ მოხდა ბატონყმობის გადავარდნა საქართველოში.

მიუხედავად ბატონყმობის დიდი ხნის წარსული ისტორიისა, დღესაც მსჯელობენ ამ წარსული პერიოდის ნეგატიურ გავლენაზე, რომელიც აისახა ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე. ასევე არის აზრთა სხვადასხვაობა საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საკითხზე და საზოგადოების ნაწილს მიაჩნია, რომ ბატონყმობის პერიოდმა მძიმე დაღი დაასვა ჩვენი ქვეყნის განვითარებასა და პროგრესზე, ხოლო ნაწილი მიიჩნევს საპირისპიროდ.

უნდა ითქვას, რომ სწორედ ეს აზრთა სხვადასხვაობა იწვევს დღესდღეობითაც ამ ე.წ. ბატონყმობის პერიოდის მიმართ საზოგადოებრივ ინტერესს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანდრო ჭილაია, თბილისი-1971 წელი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. იუზა ევგენიძე, ლადო მინაშვილი. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“.
3. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1965წელი.
4. მიხ. ზანდუკელი, სტალინის სახელობის თბილისის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. ახალი ქართული ლიტერატურა, ტომი-3.
5. სალ. კომ. პარტ. (ბოლშევიკების) ისტორია.
6. გ.ასათიანი, გ.აბზიანიძე, ალ.კალანდაძე, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი-1974წელი. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი-4.
7. ლ.მინაშვილი-„სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებანი“, თბილისი 1938წელი.